

**გარემოსდაცვითი ინფორმაციის
ხელმისაწვდომობის საკითხები სასამართლო
პრაქტიკაში**

საქართველოს უზენაესი სასამართლო
კვლევისა და ანალიზის ცენტრი

თბილისი
2019

**Access to Environmental Information in
Judicial Practice**

**The Supreme Court of Georgia
The Research and Analysis Centre**

**Tbilisi
2019**



კვლევა მომზადდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს

**ანალიტიკური განყოფილების
კვლევისა და ანალიზის ცენტრის მიერ**

ავტორი და მთავარი რედაქტორი

მარინე კვაჭაძე

სამართლის დოქტორი, პროფესორი
ანალიტიკური განყოფილების უფროსი

ავტორი

ნათია ჯუღელი

კვლევისა და ანალიზის ცენტრის მთავარი კონსულტანტი

კვლევის შედგენაში მონაწილეობდნენ:

ნათია შაყილაძე

გიორგი გამბაკიძულაშვილი

რედაქტორი

ნინო ძიქიბური

საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსულტანტი,
ფილოლოგიის დოქტორი

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

© საქართველოს უზენაესი სასამართლო 2019

ISBN 978-9941-8-1986-5



**The Research was prepared by Research and Analysis Centre
The Analytical Department
The Supreme Court of Georgia**

AUTHOR AND CHIEF EDITOR
THE HEAD OF THE ANALYTICAL DEPARTMENT

Prof. Dr. Marina Kvachadze

AUTHOR

Chief Consultant of Research and Analysis Centre

Natia Jugeli

In the Research participated:

Natia Shekiladze

Giorgi Gamtkiculashvili

STYLE EDITOR

Consultant of the Supreme Court

Dr. Nino Dzidziguri

TECHNICAL EDITOR

Marika Maghalashvili

© The Supreme Court of Georgia 2019
ISBN 978-9941-8-1986-5

წინათქმა

წინამდებარე ბროშურა „გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხები სასამართლო პრაქტიკაში“ მომზადდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრის მიერ. თემის აქტუალურობა განაპირობა ქვეყანაში გარემოსდაცვით სფეროში არსებული გამოწვევებმა. გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა დემოკრატიულ საზოგადოებაში საჯარო დაწესებულებების ანგარიშვალდებულებისა და საზოგადოების ეფექტიანი მონაწილეობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ უმთავრესი ასპექტია. სწორედ ამიტომ, წინამდებარე ბროშურის მიზანს წარმოადგენს წარმოაჩინოს როგორც საერთაშორისო სტანდარტები ამ მიმართულებით, აგრეთვე, ეროვნული სასამართლოს მიდგომები.

ბროშურაში ვრცლად არის მიმოხილული ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი საერთაშორისო ხელშეკრულება – „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადანაცვითი ლელების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ ორჰუსის კონვენციის შესაბამისი დებულებები, აგრეთვე, ვრცლად არის წარმოდგენილი გარემოსდაცვითი ინფორმაციასთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან რელევანტური მაგალითები.

ბროშურაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ეროვნული საკანონმდებლო ბაზის ფარგლებში გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გარანტიების მიმოხილვას. ამასთან, აღნიშნულ საკითხებზე სასამართლო პრაქტიკაში არსებული მიდგომების თვალსაჩინოებისათვის ნაშრომში ციტირებულია ეროვნული სასამართლოს გადანაცვითი ლელებიდან შესაბამისი ამონარიდები. დამატებით, გარემოსდაცვით საკითხებზე სამართალწარმოების გაუმჯობესების მიზნით, საერთაშორისო სტანდარტებისა და სხვადასხვა საერთაშორისო სახელმძღვანელო დოკუმენტებზე დაყრდნობით, ნაშრომში შემოთავაზებულია შესაბამისი რეკომენდაციები.

წინამდებარე ბროშურა წარმოადგენს დამხმარე მასალას საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის.

ვფიქრობთ ნაშრომი საინტერესო იქნება არა მხოლოდ მართლმსაჯულების სფეროში მოღვაწე პირებისათვის, არამედ იურიდიული ფაკულტეტების პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის, ასევე ამ საკითხით დაინტერესებული საზოგადოებისათვის.

მარინე კვაჭაძე

**ანალიტიკური განყოფილების უფროსი, სამართლის დოქტორი,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი**

PREFACE

This brochure “Access to Environmental Information in Judicial Practice” has been prepared within the Research and Analysis Center of the Analytical Department of the Supreme Court of Georgia. Actuality of the theme was conditioned by the environmental multi-dimensional challenges facing the world, including our country. Access to environmental information is one of the key aspects of ensuring accountability and effective public participation in a democratic society. Thus, denying access to information impacts upon an essential aspect of participatory democracy. In this process, effective judicial mechanism plays the crucial role to ensure that the legitimate interest of the public is protected and the law is enforced.

The Aarhus Convention is the most ambitious venture in the field of environmental democracy under the auspices of the United Nations. It is the only international legally binding instrument giving the public broad and concrete rights of participation in decision-making and access to information and justice regarding the environment.

The aim of this brochure is to provide analysis regarding the application of the international standards at the national level. In particular, the study involves comprehensive overview of the international standards in this field, including the summaries of the relevant case-law of the European Court of Human Rights. In addition, the brochure addresses the national legislation and the practice of the Constitutional Court of Georgia concerning the access to environmental information. Apart from this, special emphasis is placed on Common Courts practice. Based on the findings and tendencies revealed by the study, the brochure provides relevant recommendations in this respect.

We believe that this brochure will be of particular importance not only to people working in the Judiciary, but for the academics, students and all the other persons interested in human rights issues.

Dr. MARINA KVACHADZE

The Head of Analytical Department
Professor of the Caucasus International University

სარჩევი

გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხები სასამართლო პრაქტიკაში	8
გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ორჯუისის კონვენციის მიხედვით	12
გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში	25
გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით	44

გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხები სასამართლო პრაქტიკაში

მსოფლიოში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და მოსახლეობის რაოდენობის ზრდის კვალდაკვალ გაიზარდა გარემოზე მავნე ანთროპოგენული ზემოქმედება გლობალურ დონეზე, რის შედეგადაც ბოლო პერიოდში იმატა ბუნებრივი კატაკლიზმების შემთხვევებმა. აღნიშნულმა კი, კაცობრიობას უბიძგა დღის წესრიგში აქტუალურად დაეყენებინა ეკოლოგიური უფლებების დაცვის საკითხი. ეკოლოგიური უფლებების რეალიზებისთვის უმნიშვნელოვანესი ელემენტია გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა.

გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიღების თავისუფლება გარანტირებულია საერთაშორისო გარემოსდაცვითი ხელშეკრულებებითაც. ჯერ კიდევ, 1990 წლამდე მიღებული არაერთი ხელშეკრულება უზრუნველყოფდა მხარეებს შორის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. თუმცა, ბოლო პერიოდში მიღებულმა საერთაშორისო შეთანხმებებმა კიდევ უფრო პროგრესული მიდგომა დაამკვიდრესა და განსაზღვრა მხარეთა ვალდებულება – უზრუნველყონ საჯარო დანესებულებების ხელთ არსებული ინფორმაციის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობა. შესაბამისად, მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან გარემოს დაცვის, როგორც საერთო სიკეთედ აღიარებამ ამ სფეროში განაპირობა საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცება. ამ პროცესს საფუძველი ჩაუყარა რიო დე ჟანეიროს დეკლარაციამ, რომლის მე-10 პრინციპის თანახმად: „ეროვნულ დონეზე თითოეული პირისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს სახელმწიფო ორგანოებში არსებული გარემოსთან დაკავშირებული ინფორმაცია, მათ შორის, ინფორმაცია საშიში მასალებისა და საზოგადოებაში (თემებში) განხორციელებული საქმიანობების შესახებ“. გასულ წლებში, ინფორმაციის ხელმისაწვდომობამ როგორც ადამიანის უფლებამ, მზარდი აღიარება ჰპოვა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში, რომელიც უზრუნველყოფილია არაერთი საერთაშორისო და ეროვნული ხელშეკრულებით.

„გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადანყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკით-

ხეზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ შესახებ კონვენციით (შემდგომში – ორჰუსის კონვენცია) გათვალისწინებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრინციპი გვხვდება სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებშიც, როგორცაა სტოკჰოლმის კონვენცია მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ და როტერდამის კონვენცია წინასწარი დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ, აგრეთვე, ევროპის ეკონომიკური კომისიის სხვა გარემოსდაცვითი ხელშეკრულებები, მაგალითად, წყლის კონვენცია.

მაგალითად, კარტახენას ოქმი ბიოუსაფრთხოების შესახებ მოითხოვს მხარეებისგან, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას იმ იდენტიფიცირებული ცოცხალი მოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ, რომლებიც შეიძლება იმპორტირებულ იყოს ამ ოქმის შესაბამისად (მუხლი 23). სამრეწველო ავარიების ტრანსსასაზღვრო გავლენების შესახებ კონვენცია მხარეებისგან მოითხოვს დარწმუნდნენ, რომ ადეკვატური ინფორმაცია იქნეს მიწოდებული იმ საზოგადოებისთვის, რომელზეც შესაძლოა გავლენა იქონიოს სამრეწველო ავარიებით გამოწვეულმა მავნე აქტივობებმა (მე-9 მუხლი, პარა.1). წყლის კონვენცია მოითხოვს, რომ განსაზღვრული ინფორმაცია როგორცაა: წყლის ხარისხი, სინჯის შედეგები და შესაბამისობის მონმობები ხელმისაწვდომი იყოს საზოგადოებისთვის შესაბამისად ნებისმიერ დროს, უფასოდ და იგი ასევე მოითხოვს, რომ მხარეებმა უზრუნველყონ საზოგადოებისთვის სათანადო პირობები ასეთი ინფორმაციის ასლების მისაღებად, მათ შორის, გონივრული საფასურის დაწესების გზით (მე-16 მუხლი).

ადამიანის უფლებათა არენაზე, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის როგორც ადამიანის უფლებად აღიარების გზაზე, არსებითი ნაბიჯები იქნა გადადგმული. ადამიანის უფლებათა ინტერამერიკულმა სასამართლომ 2006 წელს მიიღო პრეცედენტული გადაწყვეტილება¹, სადაც სასამართლომ მკაფიოდ გაუსვა ხაზი სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას და განმარტა, რომ ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-13 მუხლი (აზრისა და გამოხატვის თავისუფლება) განამტკიცებს პირის უფლებას მოითხოვოს და მიენიჭოს წვდომა საჯარო დაწესებულებაში არსებულ ინფორმაციაზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს ინფორმაციის გაცემაზე უა-

¹ Case of Claude-Reyes et al. v. Chile, Series C No. 151 (2006).

რის თქმის სათანადო საფუძველი. კერძოდ, მოცემულ საქმეში მომჩივანი იყო არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ასაჩივრებდა ჩილეს საზღვარგარეთის ინვესტიციების კომიტეტის იგნორს/უმოქმედობას უცხო ქვეყნის კომპანიის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით. აღნიშნულ საქმეში სასამართლომ პირველად დაადგინა, რომ ამერიკის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-13 მუხლი მოიცავდა საჯარო დაწესებულებაში არსებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლებას. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პირს ან ორგანიზაციას, რომელიც ითხოვს ინფორმაციის გაცემას, არ მოეთხოვება ამტკიცოს პირდაპირი თუ პირადი ინტერესი ამგვარი ინფორმაციის მიღებასთან მიმართებით და მას შემდეგ რაც ინფორმაცია მიენოდება დაინტერესებულ პირს/ორგანიზაციას, მას შეუძლია გახადოს იგი ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, საჯაროდ ხელმისაწვდომი (პარა.77). ინფორმაციის გაცემის საკითხი რეგულირდება მაქსიმალური ხელმისაწვდომობის/გამჟღავნების პრინციპით (პარა. 92). სახელმწიფომ შეიძლება შეზღუდოს ინფორმაციაზე წვდომა კონვენციით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობის შემთხვევაში (პარა.77). სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეში არ იკვეთებოდა კონვენციის არცერთი საფუძველი, რომელიც შეზღუდვას გაამართლებდა. კერძოდ, ჩილეს კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა საჯარო დაწესებულებაში არსებული ინფორმაციის გაცემაზე შეზღუდვის საფუძვლებს, ამასთან, საჯარო დაწესებულებამ სათანადო პასუხი არ გასცა ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადებას (პარა. 94-96). შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული სასამართლო, ერთ-ერთი პირველი სასამართლოა, რომელმაც ამ გადაწყვეტილებით გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში აღიარა სახელმწიფო ორგანოებში არსებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, როგორც ადამიანის უფლება.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება კიდევ უფრო განამტკიცა ევროპის საბჭოს მიერ 2008 წლის 27 ნოემბერს მიღებულმა ოფიციალური დოკუმენტების ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენციამ². აღნიშნული კონვენცია ერთ-ერთი პირველი საერთაშორისო ხელ-

² აღნიშნული კონვენციას საქართველომ ხელი მოაწერა 2009 წლის 18 ივნისს, თუმცა, მისი რატიფიცირება ამ დრომდე არ მოუხდენია.

იხ.: https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/205/signatures?p_auth=LMgCmLBI.

შეკრულებაა, რომელიც ზოგადად ინფორმაციის ხელმისაწვდომობისას პრეამბულაში მითითებას აკეთებს ორჭუსის კონვენციაზე.

იმ დროს როდესაც ორჭუსის კონვენცია იქნა მიღებული, დირექტივა 90/313/EEC გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თავისუფლებაზე, ადგენდა გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სამართლებრივ საფუძველს ევროკავშირის ქვეყნებისთვის. დირექტივა ადგენდა საბაზისო ვალდებულებებს ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის, რათა უზრუნველყო ხელისუფლების ორგანოთა მიერ არსებული მოთხოვნის შესრულება – გაეხადათ გარემოსდაცვითი ინფორმაცია ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირისთვის ხელმისაწვდომი, მათ მიერ ამ უკანასკნელის მოთხოვნის შემთხვევაში. დირექტივა 2003/4/EC-მ შედეგად გააუქმა დირექტივა 0/313/EEC და გააფართოვა ინფორმაციაზე წვდომა წინა დირექტივებთან შედარებით. ევროკავშირის სხვა დირექტივებმა, რომელიც მიღებულ იქნა მას შემდეგ რაც ორჭუსის კონვენცია შევიდა ძალაში, ასევე მოიცვა შესაბამისი დებულებები, რათა დაეკმაყოფილებინა კონვენციის მოთხოვნები.

გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ორჭუსის კონვენციის მიხედვით

1998 წელს, ქ. ორჭუსში (დანიის) ხელმოწერილი კონვენცია „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენცია³ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი საერთაშორისო ხელშეკრულებაა, რომელიც გარანტირებულია ინფორმაციის მიღების თავისუფლება. მისი მიზანია, მომავალი თაობებისათვის გარემოს დაცვისა და გაუმჯობესების პროცესში გააძლიეროს საზოგადოებისა და გარემოსდაცვითი ორგანიზაციების როლი. გარემოსდაცვითი ინფორმაციის, მონაწილეობისა და მართლმსაჯულების სფეროში მოქალაქეთა უფლებების აღიარებით, კონვენცია მიზნად ისახავს გარემოს დაცვის საკითხებში მთავრობათა ანგარიშგებისა და გამჭვირვალობის დონის ზრდის ხელშეწყობას. გარემოსდაცვითი ინფორმაცია – „ეს არის ცნობიერების გასაღები იმ საშიშროების წინაშე, რაც ეკოლოგიურ კრიზისს შეიძლება მოჰყვეს. ეს ინფორმაცია აუცილებელია ეფექტიანი მონიტორინგის, რეგულირების განხორციელების, დაბინძურების აღკვეთისა და შემცირებისათვის“.⁴

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა წარმოადგენს ორჭუსის კონვენციის პირველ „საყრდენს“. გარემოსდაცვითი უფლებები, რომლებიც აღნიშნულია პრეამბულაში, დამოკიდებულია საზოგადოების შესაძლებლობაზე ჰქონდეს წვდომა გარემოსდაცვით ინფორმაციაზე, ისევე, როგორც საზოგადოების ჩართულობასა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე. აღსანიშნავია, რომ მოცემული კონვენცია ადგენს მინიმალურ სტანდარტებს. ნევრი სახელმწიფოები არ არიან შეზღუდულნი დაადგინონ ორჭუსის კონვენციით გათვალისწინებული უფლებების უფრო ფართო ხელმისაწვდომობის მექანიზმი.

კონვენციის თანახმად, „გარემოსდაცვითი ინფორმაცია“ გულის-

³ კონვენციის საქართველოში ძალაში შესვლის თარიღი: 30/10/2001.

⁴ რედ.: კ.კორკელია, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, სტატიათა კრებული, 2006, გვ.20.

ხმოზს წერილობითი, აუდიოვიზუალური, ელექტრონული ან ნებისმიერი სხვა მატერიალური ფორმით მიწოდებული ყველა ინფორმაციას ისეთ საკითხებზე, როგორცაა:

- ა) გარემოს შემადგენელი ისეთი ელემენტების მდგომარეობა, როგორც არის ჰაერი და ატმოსფერო, წყალი, ნიადაგი, მიწა, ლანდშაფტი და ბუნებრივი ობიექტები, ბიოლოგიური მრავალფეროვნება და მისი კომპონენტები, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზაციები და ამ ელემენტების ურთიერთქმედება;
- ბ) ისეთი ფაქტორები, როგორცაა ნივთიერებები, ენერჯია, ხმაური და რადიაცია, მოქმედებები და ღონისძიებები, აგრეთვე ადმინისტრაციული ღონისძიებები, შეთანხმებები გარემოს დაცვის სფეროში, პოლიტიკა, კანონმდებლობა, გეგმები და პროგრამები, რომლებიც გავლენას ახდენს ან სავარაუდოდ მოახდენს ზემოთ, (ა) ქვეპარაგრაფში ჩამოთვლილ გარემოს შემადგენელ ელემენტებზე, ხარჯ-მოგება და სხვა ეკონომიკური ანალიზები და მოსაზრებები, რომლებსაც იყენებენ გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას;
- გ) ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა და უსაფრთხოება; მისი ცხოვრების პირობების, კულტურული ობიექტების და შენობანაგებობების მდგომარეობა, იმდენად, რამდენადაც მათზე გავლენას ახდენს ან შესაძლოა მოახდენს გარემოს შემადგენელი ელემენტების მდგომარეობა ან ამ ელემენტების მეშვეობით ზემოთ (ბ) ქვეპარაგრაფში მითითებული ფაქტორები, ქმედებები ან ღონისძიებები.

ორპუსის კონვენციის მე-4 მუხლის თანახმად, ხელისუფლების ორგანოებმა ეროვნული კანონმდებლობის ნორმების გათვალისწინებით უნდა უზრუნველყონ ეკოლოგიურ ინფორმაციაზე საზოგადოების მოთხოვნის დაკმაყოფილება და გონივრულ ვადაში მიაწოდონ დაინტერესებულ პირებს ზუსტი დოკუმენტაციის ასლები, რომლებიც შეიცავს ან ეხება ასეთ ინფორმაციას.

შესაბამისად, კონვენციის მე-4 მუხლი ადგენს ჩარჩოს, რომლის მეშვეობითაც საზოგადოების წევრებს შეუძლიათ მოიპოვონ წვდომა გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელისუფლების ორგანოებისგან და ზოგიერთ შემთხვევაში, კერძო პირებისგანაც. როდესაც საზოგადოების წევრი გააკეთებს მოთხოვნას გარემოსდაცვით ინფორმაცია-

ზე, მე-4 მუხლი ადგენს ინფორმაციის მიწოდების ან მიწოდებაზე უარის თქმის საფუძვლებსა და პროცედურებს.

კონვენცია იწყება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თავისუფლების ზოგადი წესით. მხარეები ვალდებული არიან შექმნან ისეთი სისტემა, რომლის მეშვეობითაც საზოგადოების წევრებს შეეძლებათ გარემოსდაცვითი ინფორმაციის მოთხოვნა ხელისუფლების ორგანოებისგან და ამ ინფორმაციის მიღება გონივრულ ვადებში. ეს ზოგადი წესი უზრუნველყოფილია ისეთი გარანტიების არსებობით როგორცაა: პასუხის გაცემის ვადები, უარის თქმის საფუძვლები და პროცესის წერილობითი დოკუმენტირება.

ორჰუსის კონვენციის მე-4 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები და მათი ეროვნულ დონეზე იმპლემენტაციის საკითხები დეტალურად არის განმარტებული ქვემოთ მოცემულ ცხრილში⁵.

მუხლი	ვალდებულება	იმაჟმინტაცია
მუხლი 4 პარაგრაფი 1	ხელისუფლების ორგანოებმა მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყონ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.	<ul style="list-style-type: none"> რაიმე ინტერესის განცხადების გარეშე მოთხოვნილი ფორმით (ორი გამოწერის).
მუხლი 4 პარაგრაფი 2	მოთხოვნილ ინფორმაციაზე პასუხის გაცემისა და მიწოდების ვადები (ხელისუფლების ორგანოებისთვის).	<ul style="list-style-type: none"> შეძლებისდაგვარად სწრაფად ზოგადი ვადა არაუგვიანეს, 1 თვე თუ ინფორმაციის მოცულობა და სირთულე ამართლებს, ვადა შეიძლება გაიზარდოს ორ თვემდე.
მუხლი 4 პარაგრაფი 3	გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიწოდება შეიძლება შეიზღუდოს განსაზღვრული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში.	<ul style="list-style-type: none"> ხელისუფლების ორგანო არფლობს მოთხოვნილ ინფორმაციას მოთხოვნა სრულიად უსაფუძვლოა ან შედგენილია ზედმეტად ზოგადი ფორმით მოთხოვნა ეხება მასალას, რომელიც მომზადების ეტაპზეა ან ხელისუფლების ორგანოებს შორის მიმონერის სტადიაში.

⁵ ორჰუსის კონვენციის იმპლემენტაციის სახელმძღვანელო, გვ.78.
 იხ.: https://www.unece.org/env/pp/implementation_guide.html.

<p>მუხლი 4 პარაგრაფი 4</p>	<p>გარემოსდაცვითი ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები თუ ამგვარი ინფორმაციის მიწოდებამ შესაძლოა ნეგატიური ზემოქმედება მოახდინოს ამ მუხლით ჩამოთვლილ ინტერესებზე. უარის თქმის მიზეზები უნდა იყოს მკაცრად განსაზღვრული და ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნეს საზოგადოების მიერ ამ ინფორმაციის მიღების უფლება, აგრეთვე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული რამდენად ეხება მოთხოვნილი ინფორმაცია გარემოში გაფრქვევას.</p>	<p>ინფორმაციის მიწოდება შეიძლება უარყოფილ იქნას, თუ მისი განცხადება ნეგატიურ ზემოქმედებას მოახდენს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ხელისუფლების ორგანოების სამუშაო პროცედურების კონფიდენციალურობაზე, თუ ეს კონფიდენციალურობა განსაზღვრულია ეროვნული კანონმდებლობით; • საერთაშორისო ურთიერთობებზე, ეროვნულ თავდაცვაზე ან სახელმწიფო უსაფრთხოებაზე; • სამართალწარმოებაზე; • სამრეწველო ან კომერციული ინფორმაციის კონფიდენციალურობაზე. თუ ეს კონფიდენციალურობა განსაზღვრულია ეროვნული კანონმდებლობით; • ინტელექტუალური საკუთრების უფლებაზე; • პირადი მონაცემების კონფიდენციალურობაზე. თუ ეს კონფიდენციალურობა განსაზღვრულია ეროვნული კანონმდებლობით; • მესამე მხარის ინტერესებზე, რომელმაც მიანოდა მოთხოვნილი ინფორმაცია საკუთარი ნებით; • გარემოზე, რომელსაც ეს ინფორმაცია ეხება.
<p>მუხლი 4 პარაგრაფი 5</p>	<p>თუ ხელისუფლების ორგანოს არ გააჩნია მოთხოვნილი გარემოსდაცვითი ინფორმაცია, ამ ორგანომ მაქსიმალურად მოკლე ვადებში უნდა შეატყობინოს მომთხოვნ მხარეს ხელისუფლების იმ ორგანოს შესახებ, რომელსაც მისი აზრით, უნდა ჰქონდეს ასეთი ინფორმაცია ან თვითონ გადასცეს ეს მოთხოვნა შესაბამის ორგანოს და სათანადო ფორმით აცნობოს მომთხოვნ მხარეს.</p>	<ul style="list-style-type: none"> • ხელისუფლების ორგანომ უნდა შეატყობინოს მომთხოვნ მხარეს თუ რომელი ორგანო ფლობს მოთხოვნილ ინფორმაციას ან • თავად უნდა გადასცეს მოთხოვნა შესაბამის ორგანოს, რის შესახებაც სათანადო ფორმით უნდა აცნობოს მომთხოვნ მხარეს.

მუხლი	ვალდებულება	იმაკონტაქტი
მუხლი 4 პარაგრაფი 6	ინფორმაცია უნდა მიენოდოს მომთხოვნ მხარეს, გარდა ინფორმაციის იმ ნაწილისა, რომელიც კონვენციის თანახმად, არ ექვემდებარება გამოქვეყნებას.	<ul style="list-style-type: none"> • ინფორმაციის ნაწილი, რომელიც არ ექვემდებარება გამოქვეყნებას, უნდა გამოიყოს, ხოლო დანარჩენი ინფორმაცია მიენოდოს მომთხოვნ მხარეს.
მუხლი 4 პარაგრაფი 7	ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის პროცედურა.	<ul style="list-style-type: none"> • თუ ინფორმაციის მიწოდების მოთხოვნა წარდგენილი იყო წერილობითი სახით ან თუ განმცხადებლის თხოვნა მიიღოს პასუხი წერილობით, შესაბამისად, უარიც წარედგინება წერილობითი სახით; • პასუხში უნდა მიეთითოს უარის თქმის საფუძვლები; • მომთხოვნ მხარეს უნდა მიენოდოს ინფორმაცია მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის შესაძლებლობის შესახებ; • უარი წარდგენილ უნდა იქნეს რაც შეიძლება სწრაფად და არაუგვიანეს ერთი თვისა, იმ გამონაკლისით, როცა ინფორმაციის მოძიების სირთულე ამართლებს ამ პერიოდის გაზრდას მომთხოვნის წარდგენიდან ორი თვის ვადამდე. მომთხოვნის წარმდგენელი პირი ინფორმირებული უნდა იყოს ვადის გაზრდისა და მისი მიზეზების თაობაზე.
მუხლი 4 პარაგრაფი 8	ინფორმაციის გაცემაზე შესაძლებელია დაწესდეს გადასახადი.	<ul style="list-style-type: none"> • გადასახადი არ უნდა აღემატებოდეს ზომიერების ფარგლებს; • ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც აპირებენ ასეთი გადასახადების დაწესებას, ვალდებული არიან გააცნონ დამკვეთს გადასახადის ტარიფები იმ პირობების და გარემოების მითითებით, რა პირობებშიც ეს გადასახადები შეიძლება იქნას დაწესებული ან გაუქმებული.

აღსანიშნავია, რომ ორჰუსის კონვენციის მე-9 მუხლი ეხება მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის საკითხებს, იმ შემთხვევაში, თუ პირის მოთხოვნა გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიღების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. კერძოდ, კონვენციის მე-9(1) მუხლის თანახმად:

„ყოველი მხარე, საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობის ფარგლებში ვალდებულია, სასამართლოში ან დამოუკიდებელ და კანონიერად არჩეულ კომპეტენტურ ორგანოში უზრუნველყოს საკითხის გარჩევის შესაძლებლობა იმ პირისათვის, რომელიც თვლის, რომ მისი მოთხოვნა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ მეოთხე მუხლის მიხედვით, არ დაკმაყოფილდა. მას უსამართლოდ ეთქვა უარი, ნაწილობრივ ან მთლიანად არასწორი პასუხი გაეცა ან სხვაგვარად დაირღვა ზემოაღნიშნული მუხლის პირობები.

იმ შემთხვევაში, თუ მხარე უზრუნველყოფს სასამართლოს მიერ ამგვარ გადასინჯვას, მან უნდა უზრუნველყოს აგრეთვე, ამ პირისათვის ხელმისაწვდომობა კანონით დადგენილი დაჩქარებული პროცედურებისადმი სახელმწიფო, დამოუკიდებელი ან მიუკერძოებელი ორგანოების მხრიდან, გარდა სასამართლოებისა და ასეთი ხელახალი პროცედურა უნდა იყოს უფასო ან უფრო იაფი.

ამ პარაგრაფის შესაბამისად, საბოლოო გადაწყვეტილებების მიღება ეკისრება ინფორმაციის მქონე ხელისუფლების ორგანოებს. მიზეზები მოცემული უნდა იყოს წერილობით მაშინ მაინც, როდესაც ინფორმაციის მისაწვდომობაზე უარია ნათქვამი ამ პარაგრაფის შესაბამისად“.

ხელისუფლების ორგანოების მიერ ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადებების დაკმაყოფილებაზე უარი საკმაოდ აქტუალური პრობლემაა ბევრ ქვეყანაში. ინფორმაციის ხელმიუწვდომლობა ზიანს აყენებს მონაწილობრივი დემოკრატიის არსებითად მნიშვნელოვან ასპექტს. ხელისუფლების ორგანოები როდესაც ფლობენ ინფორმაციას გარემოზე და არ ახდენენ მის მიწოდებას მოთხოვნისთანავე, ისინი უგულვებელყოფენ არა მხოლოდ ინფორმაციის, არამედ მონაწილეობის პრინციპსაც. გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის ხელმიუწვდომლობა წარმოადგენს მნიშვნელოვან დაბრკოლებას ეფექტური საზოგადოებრივი მონაწილეობისთვის.

უმეტეს შემთხვევაში, საწყის ეტაპზე მოთხოვნილ ინფორმაციაზე

წვდომაზე უარის თქმის შემდეგ, ხელისუფლების ორგანოებმა შესაძლოა გადანყვიტონ მისი „ნებაყოფლობით“ მიწოდება სასამართლო პროცედურის დაწყების შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს, მის დასრულებამდე, რათა თავიდან აიცილონ მათ წინააღმდეგ სასამართლო გადანყვეტილების მიღება. მსგავს შემთხვევას ეხება უნგრეთის სასამართლოში განხილული მეტალის ქარხნის საქმე (The Metal Plant Case)⁶, რომელშიც საზოგადოების წევრმა მოითხოვა ინფორმაცია ხელისუფლების ორგანოებისგან საწარმოს ემისიების მონაცემებზე. თავდაპირველად ჩრდილოეთ უნგრეთის გარემოს დაცვის ინსპექციამ უარი განაცხადა საწარმოს მიერ გამოცემული ხმაურისა და ჰაერის დაბინძურების შესახებ არსებულ მონაცემების მიწოდებაზე იმ საფუძველით, რომ მოქალაქეს არ ჰქონდა უფლება მონაწილეობა მიეღო საწარმოსთან დაკავშირებულ რაიმე სახის სამთავრობო გადანყვეტილებების მიღებაში. აღნიშნულმა პირმა სარჩელი აღძრა მიშკოლცის საქალაქო სასამართლოში და მოითხოვა: დაევალოს ინსპექციას მოთხოვნილ ინფორმაციაზე წვდომის დაშვება. პროცესის დროს ინსპექციამ „ნებაყოფლობით“ გამოაქვეყნა მონაცემთა ნაწილი. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს მიერ საბოლოო გადანყვეტილების მიღება თავიდან იქნა აცილებული ინფორმაციის ნებაყოფლობით გაცემის შედეგად, მოცემულმა საქმემ კიდევ ერთხელ დაამტკიცა რომ: „იმ პირთა ჯგუფი, რომელიც უფლებამოსილია ჰქონდეს წვდომა დაწესებულების გარემოსდაცვით მონაცემებზე, არ შემოიფარგლება პირთა იმ ჯგუფით, რომლებიც ამ კონკრეტულ საქმეში მხარეს წარმოადგენენ, აღნიშნული კი მთავარი საკითხია გარემოსდაცვით ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით“.

ასევე, მსგავსი შედეგით დასრულდა დიდ ბრიტანეთში განხილული სალისბურის შემოვლითი გზის საქმეც (Salisbury Bypass Case)⁷, რომელიც ეხებოდა სატრანსპორტო საშუალებების შეფასების შესახებ ანგარიშს. კერძოდ, დიდი ბრიტანეთის სატრანსპორტო დეპარტამენტმა ორგანიზაცია – „დედამინის მეგობრების“ მოთხოვნა ინფორმაციის მიღების თაობაზე არ დააკმაყოფილა და მიიჩნია, რომ გაერთიანებული სამეფოს ეროვნული კანონმდებლობის, ისევე, როგორც 90/313/EEC დირექტივის დებულებათა შესაბამისად, ორგანიზაციის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია არ ეხებოდა გარემოს. თუმ-

⁶ Handbook on Access to Justice Under the Aarhus Convention, 2003, pg. 151.

⁷ იქვე.

ცა, მას შემდეგ რაც ორგანიზაციამ სასამართლოში გაასაჩივრა სატრანსპორტო დეპარტამენტის გადაწყვეტილება, სასამართლოს ზეპირი მოსმენის გამართვამდე, აღნიშნულმა საჯარო დაწესებულებამ ორგანიზაციას გადასცა მოთხოვნილი ანგარიშის ასლი.

ზოგიერთ ქვეყანაში ინფორმაციის გაცემის ვალდებულებისა და მასზე შესაძლო უარის თქმის საფუძვლები კანონმდებლობით არის დადგენილი. მაგალითად, უნგრეთში ხელისუფლების ორგანომ, რომელიც ფლობს მოთხოვნილ ინფორმაციას, უნდა დაასაბუთოს ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის კანონიერება, ხოლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილ ინფორმაციის გაცემაზე უარი, შესაძლოა გასაჩივრდეს უარის თქმიდან 30 დღის ვადაში. (Act no.63 of 1992 on Freedom of Information of Public Interest). თითქმის იგივე დებულებები არსებობს უკრაინაში, სადაც ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ კანონის თანახმად, ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, მისი კანონიერების დასაბუთების მტკიცების ტვირთი ეკისრება ხელისუფლების ორგანოს. თუ არ არსებობს უარის თქმის სამართლებრივი საფუძვლები ან ინფორმაცია არ არის დროულად გაცემული, სასამართლო ვალდებულია დააკისროს ჯარიმა პასუხისმგებელ დაწესებულებას.

ორჭუსის კონვენცია ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის ხელისუფლების ორგანოებს უდგენს ზოგად ვადებს. მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემა უნდა მოხდეს „რაც შეიძლება მალე, მაგრამ არაუგვიანეს, ერთი თვისა“. მაშასადამე, როდესაც არ ხდება მოთხოვნილი ინფორმაციის დროულად გაცემა ან კიდევ გაიცემა დადგენილი ვადის ამონაურვის შემდეგ, სახეზე გვაქვს ხელისუფლების ორგანოს მიერ ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაუცემლობა. კონვენცია იძლევა ამ ვადის ორ თვემდე გაგრძელების შესაძლებლობას, როდესაც ინფორმაციის მოცულობა და სირთულე ამართლებს ვადის ასეთ გაგრძელებას. თუმცა ბალტიის ზღვის ავტომაგისტრალის საქმე (the Baltic Sea Motorway Case)⁸ აჩვენებს, რომ ვადის გაგრძელების შესაძლებლობა არ უნდა იყოს გამოყენებული გაუმართლებლად, როგორც ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაუცემლობის საფუძველი.

ამ საქმეში, რომელიც ეხებოდა ევროკავშირის გარემოსდაცვითი ინ-

⁸ Handbook on Access to Justice Under the Aarhus Convention, 2003, pg. 24.

ფორმაციის ხელმისაწვდომობის დირექტივას, გერმანიის შლეზვიგ-ჰოლშტაინის ხელისუფლებამ მოთხოვნილ ინფორმაციაზე პასუხის ორთვიანი დაგვიანება ახსნა იმით, რომ ვადის გაგრძელება ვრცელდება ფორმალური პასუხის გაცემაზეც, ვიდრე მხოლოდ არსებით პასუხზე. ეროვნულ დონეზე მსგავსი ინტერპრეტაციის შეცვლის არაერთი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, საჩივარი შეტანილ იქნა ევროპულ კომისიაში. კომისიამ გერმანიის ხელისუფლების მიერ დამკვიდრებული ინტერპრეტაციისგან, საკითხის განსხვავებული ინტერპრეტაცია მოახდინა, შედეგად ევროპულმა კომისიამ 1999 წელს ევროპის მართლმსჯულების სასამართლოს მიმართა გერმანიის წინააღმდეგ ევროკავშირის დირექტივის დებულებათა პრაქტიკაში დარღვევის საფუძვლით.

ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადების განხილვის, ასევე, ადმინისტრაციული გადასინჯვის პროცედურების საერთო ვადას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხებზე საუკეთესო პრაქტიკის შეფასებისას.

მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში ინფორმაციის გაცემის შესახებ მოთხოვნის ადმინისტრაციული წესით გადასინჯვის პროცედურის საერთო ვადას შეადგენს ერთი თვე, ამ ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება: ჩეხეთის რესპუბლიკა, ესტონეთი, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია, საქართველო და ა.შ.

სასამართლო განხილვის თვალსაზრისით, ექვსი თვე სასამართლო სისტემაში გასაჩივრებიდან საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე, როგორც ინგლისსა და უელსშია, მიიჩნევა სწრაფი სასამართლო პროცესის კარგ მაგალითად. ასევე, მიზანშეწონილია, ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მაქსიმალურად მჭიდრო ვადებში ეცნობოს მხარეს, იმისათვის რომ მას შესაძლებლობა მიეცეს დროულად მიმართოს გასაჩივრების პროცედურებს.

ყველა ქვეყანა უშვებს გამონაკლისს გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზოგადი წესიდან. შეზღუდვის საფუძველთა უმეტესობა ძირითადად, მსგავსია ყველა ქვეყანაში, თუმცა არსებობს განსხვავებებიც. განასხვავებენ სავალდებულო (ხელისუფლების ორგანომ არ უნდა გასცეს ინფორმაცია) და დისკრეციულ (ხელისუფლების ორგანომ შესაძლოა არ გასცეს ინფორმაცია) გამონაკლისებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საგამონაკლისო კატეგორიები (შეზღუდვის საფუძვლები), რომლებიც მსგავსია თითქმის ყველა ქვეყანაში და ასახავს ორჰუსის კონვენციით გათვალისწინებულ საფუძვლებს, მოიცავს შემდეგს:

- ეროვნული თავდაცვა
- სახელმწიფო უსაფრთხოება
- საერთაშორისო ურთიერთობები
- კომერციული კონფიდენციალურობა
- სამართალწარმოება, სისხლის სამართლის ან დისციპლინური ხასიათის გამოძიება
- პერსონალური მონაცემები და
- ინტელექტუალური საკუთრების უფლებები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ორჰუსის კონვენცია ისევე, როგორც ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს გარემოსდაცვითი ინფორმაციის გაცემის შეზღუდვის საფუძვლებს. თუმცა, დაუშვებელია გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა გაუმართლებლად, თუ შეზღუდვის რეალური საფუძველი სახეზე არ არის. მაგალითად, ორგანიზაცია – „დედამინის მეგობრების“ (The Friends of the earth case) საქმე⁹ ნათელი მაგალითია იმისა, რომ ზოგჯერ ხელისუფლების ორგანოები შეზღუდვის საფუძვლებს მოიშველიებენ ინფორმაციის გაცემის შესაფერხებლად. აღნიშნულ საქმეში, არასამთავრობო ორგანიზაციამ კომისიას მიმართა განცხადებით ორი კვლევის ასლის გაცემის თაობაზე, რომლებიც განხორციელდა კომისიისთვის, გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებზე დიდი ბრიტანეთში შესაბამისი დირექტივების მოთხოვნებიდან გამომდინარე. კომისიამ ორგანიზაციას მიაწოდა კვლევების ასლები, მაგრამ „საჯარო ინტერესის დაცვის“ (სამართალწარმოების, ინსპექტირების და გამოძიების) მიზნით, თითქმის ყველა გვერდი დამტრიხული იყო სქელი მელნით. აღნიშნული ფაქტი „დედამინის მეგობრებმა“ გაასაჩივრეს კომისიის გენერალურ მდივანთან. თუმცა, მათი საჩივარი არ დაკმაყოფილდა, რის შემდეგაც ორგანიზაციამ მიმართა

⁹ Handbook on Access to Justice Under the Aarhus Convention, 2003, pg. 25.

ევროპის ომბუდსმენს. ომბუდსმენის განმარტებით: შეზღუდვა გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა გავრცელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნილი ინფორმაცია შეიქმნა რაიმე სახის დარღვევასთან დაკავშირებით, გამოძიების პროცესში. შესაბამისად, მოთხოვნილი ანგარიშების ასლების სრული სახით მიწოდებაზე უარის თქმის გამო, ომბუდსმენმა დაადგინა კომისიის მხრიდან საქმის არაჯეროვანი ადმინისტრირების ფაქტი.

ზოგადი წესის თანახმად, ორჭუსის კონვენცია ითხოვს გამონაკლისთა ვიწრო განმარტებას. ზემოთ განხილული საქმე აჩვენებს, რომ სასამართლო და სხვა მსგავსი ორგანოები ყურადღებით განიხილავენ ხელისუფლების ორგანოთა მიერ შეზღუდვის საფუძვლების გამოყენების შემთხვევებს და ბათილად ცნობენ ადმინისტრაციულ აქტებს, სადაც მათ მიერ გამონაკლისთა ზედმეტად ფართო ინტერპრეტაცია ხდება.

სახელმწიფო საიდუმლოების საფუძვლით ინფორმაციის გაცემის შეზღუდვა გვხვდება არაერთი ქვეყნის კანონმდებლობაში. როგორც წესი, იგი მოიცავს ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებამაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ან საფრთხე შეუქმნას ეროვნულ და სახელმწიფო უსაფრთხოებას, საჯარო წესრიგს, საერთაშორისო ურთიერთობებს, მნიშვნელოვან ეკონომიკურ ინტერესებს ან კიდევ ეროვნულ სავალუტო პოლიტიკას. სახელმწიფო საიდუმლოებასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის საკითხს ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილული ნიკიტინის საქმე (The Nikitin Case)¹⁰, რომელიც შეეხებოდა ფიზიკური პირის დაკავებას ჯაშუშობის ბრალდებით. კერძოდ, ნიკიტინს ედავებოდნენ სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის უცხოური ორგანიზაციისთვის გადაცემას. სასამართლოში საქმის ხანგრძლივი განხილვის შემდეგ, სასამართლომ გაამართლა იგი წარდგენილ ბრალდებაში. სასამართლომ გადაწყვეტილება დააფუძნა რუსეთის კონსტიტუციის 29(4)-ე მუხლს, რომლის თანახმადაც, ყველა ადამი-

¹⁰ მოგვიანებით, ნიკიტინმა მიმართა სტრასბურგის სასამართლოს ევროპული კონვენციის მე-6 §1 მუხლით (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება) და კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლით (ხელმეორედ გასამართლების ან დასჯის აკრძალვა) გათვალისწინებული უფლებების სახელმწიფოს მხრიდან სავარაუდო ხელყოფის გამო, თუმცა, სტრასბურგის სასამართლომ წინამდებარე საქმეში დარღვევა არ დაადგინა (ნიკიტინი რუსეთის წინააღმდეგ (Nikitin v. Russia), №50178/99, 20 ივლისი, ECHR 2004).

ანს აქვს კანონით დადგენილი წესით ინფორმაციის თავისუფლად მოძიების, მიღების, გადაცემის, წარმოებისა და გავრცელების უფლება. აღნიშნული კონსტიტუციური დებულება დანვრილებით იქნა ასახული რუსეთის ფედერაციის კანონში მასმედიის შესახებ. ინფორმაციის მიღების უფლების განხილვის დროს, სასამართლოს მიერ მხედველობაში იქნა მიღებული კონსტიტუციის ის მოთხოვნაც, რომლის თანახმადაც სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის ნუსხა უნდა განისაზღვროს ფედერაციული კანონით. სასამართლომ განაცხადა, რომ ნიკიტინის მიერ გამჟღავნებული ინფორმაცია მიეკუთვნებოდა ეკოლოგიური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციათა კატეგორიას (სახიფათო შემთხვევებს და კატასტროფებს, რომელიც საფრთხეს უქმნის მოქალაქეთა უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას), შესაბამისად, მსგავსი სახის ინფორმაცია კანონის თანახმად არ შეიძლება ყოფილიყო მიჩნეული სახელმწიფოს საიდუმლოებად¹¹.

ქვეყნების უმეტესობა კანონმდებლობით ითვალისწინებს ინფორმაციის გაცემის შეზღუდვის ერთ-ერთ საფუძვლად კომერციულ საიდუმლოებას. ზოგიერთ შემთხვევაში, ამ გამონაკლისს ძალზედ ფართო ინტერპრეტაციას აძლევენ და იყენებენ ბიზნესსაქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცემის შესაზღუდად. თუმცა, აღნიშნული შეზღუდვის საფუძველი მაგალითად, სლოვენიაში არ ვრცელდება ისეთ ინფორმაციაზე, რომელიც ეხება გარემოზე გავლენას, ხოლო უნგრეთში კი, ისეთ ინფორმაციაზე, რომელიც ეხება დაბინძურებას.

გაერთიანებული სამეფოს ერთ-ერთ საქმეში (Case of R v. Sec of State for the Environment, Transport and the Regions and Midland Expressway Ltd)¹², რომელიც შეეხებოდა ფასიანი გზის მშენებლობის სქემას, მთავარ საკითხს წარმოადგენდა შეთანხმება ამგვარი გზის მშენებლობის თაობაზე, წარმოადგენდა თუ არა კომერციულ საიდუმლოებას. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ შეთანხმება გზის მშენებლობის თაობაზე წარმოადგენდა „გარემოსთან დაკავშირებულ ინფორმაციას“ და ფაქტი, რომ დოკუმენტი შესაძლოა შეიცავდეს ნაწილობრივ ინფორმაციას, რომელიც რეალურად მიეკუთვნება კომერციულ საიდუმ-

¹¹ აღნიშნული საქმე ვრცლად არის მიმოხილული ნაშრომის მომდევნო ქვეთავში.

¹² Handbook on Access to Justice Under the Aarhus Convention, 2003, pg. 25.

ლოებას, არ უნდა გამხდარიყო მთლიანი დოკუმენტის ხელმისაწვდომობის შეზღუდვის საფუძველი. ამ საქმეში კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი სასამართლომ, რომ ინფორმაციის ნაწილის კონფიდენციალურობა არ აბრკოლებს ხელისუფლების ორგანოს, გადასცეს დოკუმენტის ის ნაწილი ინფორმაციის მომთხოვნ მხარეს, რომელიც კონფიდენციალურობას არ ექვემდებარება. აგრეთვე, მსგავს საკითხს ეხებოდა გაერთიანებული სამეფოს კიდევ ერთი საქმე¹³. კერძოდ, გარემოსდაცვითმა ორგანიზაციამ მიმართა ყოფილ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მოითხოვა ინფორმაცია გენმოდიფიცირებული მარცვლეულის შემონმების შედეგების შესახებ. ხელისუფლების ორგანომ კომერციული საიდუმლოების საფუძვლით არ დააკმაყოფილა ორგანიზაციის განცხადება. აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა სასამართლოში. სასამართლომ მხედველობაში მიიღო 91/414/EEC დირექტივა, რომელიც კრძალავს კონფიდენციალურობის გავრცელებას პროდუქტის უვნელობისა და უსაფრთხოების შემონმების შედეგების მოკლე მიმოხილვის დოკუმენტებზე. შესაბამისად, სასამართლომ ხელისუფლების ორგანოს დაავალა ინფორმაციის გაცემა.

¹³ Handbook on Access to Justice Under the Aarhus Convention, 2003, pg. 25.

გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის, ისევე როგორც მისი დამატებითი ოქმების არცერთი მუხლი არ ადგენს ექსპლიციტურად ეკოლოგიური უფლებების დაცვის გარანტიებს. აღნიშნული განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიღების დროს, 1950 წელს გარემოს დაცვის საკითხები საერთაშორისო საზოგადოებისთვის ნაკლებად აქტუალური იყო. თუმცა, დროთა განმავლობაში კაცობრიობის ეკონომიკური პროგრესის ფონზე, გარემოზე მავნე ანთროპოგენული ზემოქმედების შედეგად გაზრდილმა ბუნებრივი კატაკლიზმების შემთხვევებმა, გარდაუვლად გამოიწვია ეკოლოგიური უფლებების დაცვის საკითხებზე სათანადო ყურადღების დათმობის საჭიროება. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ძალაში შესვლის თავდაპირველ ეტაპზე ევროპული კომისიის¹⁴ მიერ დამკვიდრებული მიდგომა, რომ არსებითად განხილვაში არ მიეღოთ სარჩელები ეკოლოგიურ უფლებებთან დაკავშირებით¹⁵, იმ საფუძვლით, რომ კონვენცია არ ადგენდა ეკოლოგიური უფლებების დაცვის გარანტიებს, მოგვიანებით შეიცვალა. ადამიანის

¹⁴ ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია განიხილავდა საჩივრებს ევროპული კონვენციის შესაბამისად. კონვენციითა და მისი ოქმებით გარანტირებული უფლებების გაფართოებისა და წვერი სახელმწიფოების რაოდენობის ზრდის შედეგად, რამაც სარჩელთა რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა გამოიწვია, აუცილებელი გახდა თავდაპირველი სისტემის რეფორმირება. რეფორმას საფუძვლად დაედო მე-11 ოქმი, რომელიც 1998 წლის ნოემბერში შევიდა ძალაში. ამ ოქმის მიხედვით, კომისიისა და სასამართლოს ერთობლიობის ნაცვლად ამოქმედდა ერთი, მუდმივმოქმედი სასამართლო გაზრდილი და გაფართოებული ფუნქციებით: ინდივიდუალური სარჩელის შეტანის უფლება ავტომატური გახდა, სასამართლოს იურისდიქცია – აუცილებელი ყველა წვერი სახელმწიფოსთვის, ხოლო მინისტრთა კომიტეტი გათავისუფლდა სასამართლო პასუხისმგებლობისგან და შეინარჩუნა მხოლოდ სასამართლოს გადანყვეტილებათა შესრულების მკონტროლებელი როლი.

იხ.: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/coe-human-rights-protection.pdf> გვ.9.

¹⁵ მაგალითად, საქმე დოქ. ს. გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის წინააღმდეგ (Dr S. v. the Federal Republic of Germany), 1969; X და Y გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წინააღმდეგ (X and Y v. the Federal Republic of Germany), 1976.

იხ.: <http://lawlibrary.info/ge/books/giz2006-ge-europaeische-menschenrechtstandards-und-deren-einfluss.pdf> გვ.14.

უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თავის პრაქტიკაში კონვენციის დებულებების უფრო ფართო განმარტება მოახდინა, მათ შორის ეკოლოგიური თვალსაზრისით. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლო პრაქტიკაში ეკოლოგიური უფლებების დაცვა ხდება არაპირდაპირი გზით – რიკოშეტის (*par ricochet*) პრინციპის მიხედვით.¹⁶ ძირითადად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ეკოლოგიურ უფლებებთან დაკავშირებით განხილული საქმეები ექცევა ევროპული კონვენციის მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) და მე-10 (გამოხატვის თავისუფლება) მუხლების ფარგლებში.

საქმეები: **ლოპეზ ოსტრა ესპანეთის წინააღმდეგ** (LOPEZ OSTRÁ v. SPAIN)¹⁷ და **ფაუელი და რაინერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ** (Powell and Rayner v. the United Kingdom)¹⁸ იყო პირველი საჩივრები, რომლებიც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე წარდგენილ იქნა კონვენციის მე-3, მე-8, მე-11, მე-13 მუხლებით და პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით განსაზღვრული უფლებების დარღვევის მტკიცებით, რასაც მომჩივნები ამტკიცებდნენ. მომჩივნები თვლიდნენ, რომ გარემოს გაუარესებელი მდგომარეობა უარყოფით გავლენას ახდენდა მათ პირად ცხოვრებაზე და აფერხებდა ზემოაღნიშნული მუხლებით უზრუნველყოფილი უფლებებით სარგებლობას. საჩივრებში გამოყენებულ იქნა ე.წ. რიკოშეტის („par ricochet“) პრინციპი, რაც ნიშნავს, რომ ეკოლოგიური უფლებების დაცვა ხდება არაპირდაპირი გზით¹⁹.

საქმეზე – **ფაუელი და რაინერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ** (Powell and Rayner v. the United Kingdom) - მომჩივანი ამტკიცებდა, რომ თვითმფრინავის ხმის ინტენსივობამ და ხანგრძლივობამ, რომელსაც ინვევდა საჰაერო მიმოსვლა ჰისროუს აეროპორტში, შელახა მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება.

¹⁶ Environmental protection and the European Convention on Human Rights, Council of Europe, 2005 https://www.echr.coe.int/Documents/Pub_coe_HFfiles_2005_21_ENG.pdf pg.11

¹⁷ ლოპეზ ოსტრა ესპანეთის წინააღმდეგ (LÓPEZ OSTRÁ v. SPAIN), 116798/90, 9 დეკემბერი, ECHR 1994.

¹⁸ ფაუელი და რაინერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Powell and Rayner v. the United Kingdom), 193101/81, 21 თებერვალი, ECHR 1990.

¹⁹ რედ.: კ.კორკელია, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, სტატიათა კრებული, 2006, გვ. 18.

მოსარჩელე რ. პაუელის სახლი მდებარეობდა იმ ზონაში, რომელიც დადგენილი ხმაურის ინდექსის ნომრის მიხედვით (NNI)²⁰ ნაკლებად მავნე ზონაში იმყოფებოდა; მეორე მოსარჩელის მ. რაინერის სახლი კი, ხმაურის ინდექსის ნომრის მიხედვით მაღალი საშიშროების ზონაში იმყოფებოდა. სარჩელი სასამართლოს წინაშე წარდგენილ იქნა კონვენციის მე-6, მე-8, მე-13 მუხლებისა და დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევის მტკიცებით.²¹ ამ საქმესთან დაკავშირებით, სასამართლომ დაადგინა: „მავნე ზემოქმედების განსხვავებული ხარისხის მიხედვით, ხელყოფილ იქნა მოსარჩელების პირადი ცხოვრება იმ ხმაურის გამო, რომელიც გამოიწვია ჰისროუს აეროპორტის ექსპლუატაციამ“.²²

თუმცა, სასამართლომ საბოლოო გადაწყვეტილებაში დაადგინა ზღვარი ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის და განაცხადა, რომ მომჩივნების უფლებები ნაკლებად პრიორიტეტულია საზოგადოებრივ ინტერესებთან (აეროპორტით სარგებლობის საჭიროება) შედარებით. ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ ამ შემთხვევაში არ დარღვეულა კონვენციის მე-8 და მე-13 მუხლები.

საქმე **ლოპეზ ოსტრა ესპანეთის წინააღმდეგ** (López Ostra v. Spain) ეხებოდა საჩივარს სუნის, ხმაურისა და კვამლით ჰაერის დაბინძურების თაობაზე, რაც გამონვეული იყო მომჩივნის საცხოვრებელთან ახლომდებარე ნარჩენების გადამამუშავებელი საამქროს ექსპლუატაციით. მომჩივნის მტკიცებით, ისინი არღვევდნენ მისი საცხოვრებლის, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას და ამით მას დამამცირებლად ეპყრობოდნენ (კონვენციის მე-8 და მე-3 მუხლები). სასამართლომ არ ჩათვალა ჯანმრთელობისათვის ფაქტობრივი ზიანის მიყენება აუცილებელ პირობად და კონვენციის მე-8 მუხლზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ: „ბუნებრივია, გარემოს მნიშვნელოვანმა დაბინძურებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ინდივიდთა კეთილდღეობაზე და ხელი შეუშალოს მათ, ისარგებლონ თავიანთი საცხოვრებ-“

²⁰ Number Noise Index – ხმაურის შეფასების ინდექსი, რომელიც გაერთიანებულ სამეფოში გამოიყენება.

²¹ კ.კორკელია, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, სტატიათა კრებული, 2006, გვ. 18.

²² ფაუელი და რაინერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Powell and Rayner v. the United Kingdom), №93101/81, 21 თებერვალი, §40, ECHR 1990.

ლით, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს მათ პირად და ოჯახურ ცხოვრებაზე, იმის მიუხედავად, მნიშვნელოვანი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა თუ არა მათი ჯანმრთელობა“. სასამართლომ ჩათვალა, რომ ამ შემთხვევაში ზედმეტი იქნებოდა მსჯელობა საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ ინტერესებს შორის ბალანსის დაცვაზე, რამეთუ გარემოს მავნე დაბინძურება, რომელიც ქარხნიდან მომდინარეობდა, გამოუსწორებელ ზიანს აყენებდა ადამიანის ჯანმრთელობას, რისი კომპენსაციაც არ შეიძლება. კონვენციის მე-3 მუხლთან დაკავშირებით სასამართლომ დაადგინა, რომ მართალია, მოსარჩელე მხარის საცხოვრებელი პირობები საკმაოდ მძიმე იყო, კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული მათი უფლებები არ დარღვეულა და მათ დამცირებელად არავინ მოპყრობია.²³

მნიშვნელოვანია წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში ვრცლად მიმოვიხილოთ ეკოლოგიურ უფლებებთან დაკავშირებით საქართველოსთან მიმართებით სტრასბურგის სასამართლოს მიერ 2017 წელს მიღებული გადაწყვეტილება საქმეზე – **ჯუღელი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ** (Jugheli and others v. Georgia). მოცემულ საქმეში²⁴ სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, რომელიც ეხებოდა საცხოვრებელ ბინებთან ახლოს მდებარე თერმული ელექტროსადგურის ფუნქციონირების რეგულირების არარსებობას. მომჩივნები აცხადებდნენ, რომ ელექტროსადგურის ფუნქციონირება არ რეგულირდებოდა შესაბამისი ნორმებით და შესაბამისად, გამოყოფილი მავნე ნივთიერებები იფრქვეოდა ატმოსფეროში, რაც მათ ჯანმრთელობას აზიანებდა. სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-8 მუხლი შესაძლოა გამოიყენებოდეს გარემოსთან დაკავშირებულ საქმეებში, როდესაც დაბინძურება გამოწვეულია უშუალოდ სახელმწიფოს მიერ.

(§73). სასამართლო განმეორებით აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-8 მუხლი შესაძლოა გამოიყენებოდეს გარემოსთან დაკავშირებულ საქმეებში, როდესაც დაბინძურება გამოწვეულია უშუალოდ სახელმწიფოს მიერ ან სახელმწიფოს პასუხისმგებლობა წარმოიშობა კერძო საწარმოების სათანადოდ რეგულირების

²³ კ. კორკელია, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, სტატიათა კრებული, 2006, გვ. 19.

²⁴ ჯუღელი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Jugheli and others v. Georgia), 138342/05, 13 ივლისი, ECHR 2017.

წარუმატებელი მცდელობით (იხ. *Hatton and Others*, მითითებულია ზემოთ, §98). წინამდებარე საქმეში, თბოელექტროსადგური თავდაპირველად ეკუთვნოდა და იმართებოდა სახელმწიფოს მიერ, ვიდრე 2000 წლის 6 აპრილს, იგი საკუთრების უფლებას პრივატიზაციის ხელშეკრულების ხელმოწერით კერძო კომპანიას გადასცემდა. თუმცა, სასამართლო იმეორებს, რომ იმის მიუხედავად წინამდებარე საქმე იმ კუთხით იქნება განაწილებული, რომ სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება, მიიღოს გონივრული და შესაბამისი ზომები კონვენციის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული მომჩივანთა უფლებების დასაცავად ან საჯარო ხელისუფლების მხრიდან მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე ჩარევის გასამართლებლად, გამოსაყენებელი პრინციპები მსგავსია. ორივე შემთხვევაში ბალანსი სამართლიანი უნდა იყოს, რომელიც უნდა გადიოდეს კონკურენტ პირად და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის და, ორივე შემთხვევაში, კონვენციასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად ზომების განსაზღვრის თვალსაზრისით, სახელმწიფოს გააჩნია თავისუფალი შეფასების ფარგლები.

(§76). სასამართლო განმეორებით აღნიშნავს, რომ მის ამოცანას არ წარმოადგენს იმის განსაზღვრა, თუ რა უნდა გაკეთებულიყო ელექტროსადგურის მუშაობისას, მომჩივნებზე ზემოქმედების უფრო ეფექტურად შესამცირებლად. თუმცა, სასამართლოს იურისდიქციის ფარგლებშია იმის შეფასება, მოეკიდა თუ არა მთავრობა პრობლემას სათანადო გულისხმიერებით და გაითვალისწინა თუ არა ყველა მხარის ინტერესი. ამ თვალსაზრისით, სასამართლო იმეორებს, რომ სახელმწიფოს ეკისრება პასუხისმგებლობა, ზუსტი და დეტალური მონაცემების მეშვეობით, დაასაბუთოს ის სიტუაცია, რომელიც მძიმე ტვირთად დააწვა ზოგიერთ ინდივიდს დანარჩენი საზოგადოების სახელით. წინამდებარე საქმის ამ კუთხით განხილვისას, სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობას სასამართლოსთვის არ წარუდგენია გარემოზე ზემოქმედების რაიმე რელევანტური კვლევა ან ინფორმაციული დოკუმენტი, ელექტროსადგურისა და მისგან გამომდინარე ჰაერის დაბინძურებასთან დაკავშირებული პოლიტიკის შესახებ, რომელიც მოცემულ პერიოდში, გავლენას ახდენდა მომჩივნებზე.

- (§77). სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეში სადავო მდგომარეობა მოვლენათა უეცარი ცვლილების შედეგი არ ყოფილა, არამედ წარმოადგენდა დიდი ხნის განმავლობაში არსებული პრობლემით გამოწვეულ მდგომარეობას, რომელიც უდავოდ, ცნობილი იყო შესაბამისი უწყებებისთვის. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ელექტროსადგურს დაევალა შესაბამისი ფილტრებისა და გამწმენდი მოწყობილობების დამონტაჟება, რათა შემცირებულიყო ჰაერში გამოყოფილი ტოქსიკური ნივთიერებების ზემოქმედება კორპუსის მცხოვრებლებზე, აღნიშნული ინსტრუქციის მეთვალყურეობის მიზნით, კომპეტენტურ უწყებებს არანაირი ეფექტური ზომა არ მიუღიათ. ამასთან, ის გარემოება, რომ მომჩივნებმა პირდაპირ არ მოითხოვეს ეროვნული სასამართლოების წინაშე, რომ დაევალებინათ ელექტროსადგურისთვის სხვადასხვა დამცავი ზომის მიღება მისი საქმიანობისა და მისგან გამომდინარე ემისიებთან დაკავშირებით, სასამართლოს მოსაზრებით, არ ათავისუფლებს ეროვნულ სასამართლო ხელისუფლებას იმ ვალდებულებებისგან, რომ განიხილოს საჩივარი სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების თვალსაზრისით, კონვენციის მე-8 მუხლის ფარგლებში და ვითარება გამოასწოროს. სხვა სიტყვებით, მარეგულირებელი ჩარჩო არაეფექტური აღმოჩნდა და ელექტროსადგურმა მუშაობა დაიწყო შესაბამისი გარემოსდაცვითი რეგულაციების მიღებამდე, ხოლო არსებული მდგომარეობა კიდევ უფრო გაამწვავა შედეგად დამდგარი ჰაერის დაბინძურებასთან მიმართებით მთავრობის პასიურმა დამოკიდებულებამ, მიუხედავად რამდენჯერმე იმ უსიამოვნო ეკოლოგიური მდგომარეობის აღიარებისა, რომელიც დაზარალებულმა მოსახლეობამ განიცადა.
- (§78) ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და იმის მიუხედავად, რომ ეროვნულ ხელისუფლებას გააჩნია თავისუფალი შეფასების ფარგლები ისეთ საქმეებში, რომლებიც მოიცავს გარემოსთან დაკავშირებულ საკითხებს, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხე სახელმწიფომ ვერ მოახერხა სამართლიანი ბალანსის დაცვა საზოგადოების ინტერესებს (რომ ჰქონოდათ გამართულ მდგომარეობაში მყოფი თბოელექტროსადგური) და მომჩივანთა მიერ საკუთარი საცხოვრებელითა და პირადი

ცხოვრების უფლებით სარგებლობას შორის. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას.

აღსანიშნავია, რომ მომჩივნები ევროპული კონვენციის მე-8 მუხლიდან გამომდინარე ასაჩივრებდნენ გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების ხელყოფის საკითხსაც, თუმცა, სტრასბურგის სასამართლოს ამ საკითხზე არსებითად არ უმსჯელია.

(§79). კონვენციის მე-8 მუხლის საფუძველზე, მომჩივნებმა განაცხადეს, რომ მათ უარი ეთქვათ გარემოსდაცვითი ინფორმაციის წვდომაზე. სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს საკითხი გათვალისწინებული არ იყო თავდაპირველ საჩივარში, თუმცა, ეს საკითხი წარმოიშვა მომჩივანთა 2007 წლის 26 ნოემბრის მიმოხილვაში და ეხება შესაბამის უწყებებთან კორესპონდენციას 2007 წლის 26 სექტემბრიდან, ანუ მათ მიერ საჩივრის წარდგენიდან 2 წლის შემდგომ პერიოდს. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს საჩივარი არ დაკონკრეტებულია ან არ წარმოშობილა საკმარისად ადრე, რომ მხარეთათვის შესაძლებელი ყოფილიყო განსახილველ საკითხზე მოსაზრებების გაცვლა. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის გარემოებების გათვალისწინებით, საქმისწარმოების ამ ეტაპზე მიუღებელია ამ საკითხის ცალკე განხილვა (იხ.: *NuraySen v. Turkey (no. 2)*, no. 25354/94, § 200, 2004 წლის 30 მარტი).

ვინაიდან მოცემული ნაშრომის მიზანს წარმოადგენს მიმოიხილოს გარემოსდაცვითი ინფორმაციის სასამართლო პრაქტიკაში ხელმისაწვდომობის საკითხები შესაბამისად, წინამდებარე ქვეთავში აქცენტი გაკეთდება სტრასბურგის სასამართლოს იმ პრეცედენტულ სამართალზე, რომელიც ეხება ევროპული კონვენციის მე-10 მუხლიდან გამომდინარე გარემოს შესახებ ინფორმაციის ღიაობის პრინციპს.

ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი ადგენს ინფორმაციის მიღების თავისუფლებას, რაც პირებისათვის სახელმწიფოს მიერაც უნდა იყოს უზრუნველყოფილი: „ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლების უფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, ჰქონდეს მოსაზრებანი და მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად“.

გამოხატვის თავისუფლების უმნიშვნელოვანეს პრინციპს წარმოადგენს ინფორმაციის მაქსიმალური ღიაობა, რომლის თანახმადაც, ყველა ინფორმაცია, რომელსაც ფლობს რომელიმე საჯარო დაწესებულება – ღიაა, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა. საჯარო დაწესებულება ვალდებულია, გამოაქვეყნოს ინფორმაცია, ხოლო საზოგადოების ყველა წევრს აქვს უფლება, მიიღოს ეს ინფორმაცია. აქვე უნდა ითქვას, რომ ტერმინი „ინფორმაცია“ აერთიანებს ყველა სახის ინფორმაციას, რომელსაც ფლობს საჯარო ორგანო, მიუხედავად ფორმისა (იქნება ეს დოკუმენტი, ფირი, ჩანაწერი კასეტაზე თუ სხვა), მისი წყაროსი (საიდან მოდის იგი, საჯარო თუ სხვა ორგანოდან) და ინფორმაციის მიღების თარიღისა. ტერმინი „საჯარო დაწესებულება“ მოიცავს ხელისუფლების ყველა განშტოებასა და დონეს ადგილობრივი მთავრობისა და არჩეული ორგანოების ჩათვლით, ასევე დაწესებულებებს, რომლებიც კანონით დადგენილი მანდატით მუშაობენ ნაციონალიზირებულ საწარმოებსა და საზოგადოებრივ კორპორაციებს, კვაზიარასამთავრობო ორგანიზაციებს, იურიდიულ და კერძო ორგანიზაციებს, რომლებიც ასრულებენ საზოგადოებრივ ფუნქციებს (როგორცაა: გზების აღდგენა, რკინიგზის შეკეთება და ა.შ.). ამ ჯგუფში შეიძლება მოვიხილოთ კერძო ორგანიზაციებიც, თუ ისინი ფლობენ ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებაც შეამცირებს საფრთხეს, რომელიც ემუქრება საზოგადოებრივ ინტერესებს.

საჯარო დაწესებულება ვალდებულია, დააკმაყოფილოს ინფორმაციის მოთხოვნა, თუ ვერ დაამტკიცებს, რომ ეს ინფორმაცია გამონაკლისებს განეკუთვნება. გამონაკლისები ნათლად და ვიწროდ უნდა იყოს ფორმულირებული და ექვემდებარებდეს შეზღუდვის სამნაწილიან ტესტს:

- ინფორმაცია უნდა უკავშირდებოდეს კანონში ჩამოთვლილ კანონიერ მიზნებს. კანონში სრულად უნდა იყოს წარმოდგენილი ის კანონიერი მიზნები, რომლებიც ამართლებს ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვას. გამონაკლისები ძალიან ვიწროდ უნდა იყოს ფორმულირებული და შემოიფარგლებოდეს ისეთი საკითხებით, როგორცაა: ეროვნული უსაფრთხოება, კომერციული და სხვა სახის საიდუმლოება და ა.შ. თუმცადა, გამონაკლისების სტანდარტი გარკვეული დროის შემდეგ შეიძლება შეიცვალოს. მაგალითად, ეროვნული უსაფრთხოებისათვის მნიშვნელობის მქონედ კლასიფიცირებულ ინფორმაციას შეიძლება დროთა განმავლო-

ბაში აღარ ჰქონდეს ასეთი ხასიათი.

- ამ ინფორმაციის გამჟღავნება საფრთხეს უნდა უქმნიდეს და არსებით ზიანს აყენებდეს მოცემულ კანონიერ მიზანს. ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ იმაზე მითითება, რომ იგი ხვდება კანონში ჩამოთვლილი მიზნების სპექტრში. საჯარო დაწესებულებამ ასევე, უნდა დაამტკიცოს, რომ ინფორმაციის გამჟღავნება არსებით ზიანს მიაყენებს კანონიერ მიზნებს.
- ზიანი, რომელიც ადგება მიზანს, უნდა იყოს უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ინფორმაციის მიღების საზოგადოებრივი ინტერესი. მაშინაც კი, როდესაც ინფორმაციის საჯაროობა არსებით ზიანს აყენებს დასახულ კანონიერ მიზანს, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ამ ინფორმაციის თავისუფლება, თუ ინფორმაციის საჯაროობის ინტერესი ზიანს გადაწონის. როცა საზოგადოებრივი ინტერესი უფრო მნიშვნელოვანია, კანონმა უნდა უზრუნველყოს ინფორმაციის ღიაობა.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ინფორმაციის მოთხოვნის განხილვა უნდა მოხდეს სწრაფად და სამართლიანად. უარის მიღების შემთხვევაში, ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს დამოუკიდებელი გასაჩივრების მექანიზმები. ინფორმაციის მოთხოვნის პროცესი სამი სხვადასხვაგვარი ტიპის ორგანოში შეიძლება წარმოებდეს: საჯარო დაწესებულებაში, დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სასამართლოში. კანონმა ზუსტად უნდა განსაზღვროს ინფორმაციის მოთხოვნისა და განხილვის პროცესის ვადები, ასევე უნდა დაადგინოს, რომ უარის შემთხვევაში სავალდებულოა წერილობითი დასაბუთების გაცემა. რაც შეეხება გასაჩივრების მექანიზმებს, სახელმწიფოში უნდა არსებობდეს გასაჩივრების ორგანო, რომელიც განიხილავს თავდაპირველ გადაწყვეტილებას.²⁵ აგრეთვე, მნიშვნელოვანი ფაქტორია აუცილებელ ტექნიკურ საშუალებებზე ხელმისაწვდომობა. როგორც ევროპულმა სასამართლომ დაადგინა **აუტრონიკ აგი შვეიცარიის წინააღმდეგ** (Autronic AG v. Switzerland) საქმეზე, მე-10 მუხლი გამოიყენება არა მარ-

²⁵ გამოხატვის თავისუფლება – ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის განხორციელება, გზამკვლევი, ევროპის საბჭო, 2005, გვ. 38.

ტო ინფორმაციის შინაარსთან მიმართებაში, არამედ აგრეთვე გადაცემის ან მიღების საშუალებაზე, რამდენადაც საშუალებაზე დაწესებული ნებისმიერი შეზღუდვა გარდაუვლად განაპირობებს ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლების ხელყოფას.²⁶

თუკი საჯარო დაწესებულება უარს ეტყვის მოქალაქეს ინფორმაციის გაცემაზე, კანონმა მოქალაქეს უნდა მისცეს უფლება, საჩივრით მიმართოს დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ორგანოს. ეს შეიძლება იყოს როგორც უკვე არსებული ორგანო, როგორცაა ომბუდსმენი ან ადამიანის უფლებათა კომისია, ისე სპეციალურად ამ მიზნისთვის შექმნილი ორგანო. ეს ორგანოები აღჭურვილი უნდა იყვნენ შესაბამისი უფლებამოსილებით და აკმაყოფილებდნენ გარკვეულ სტანდარტებს. ევროპული კონვენციის მე-10 მუხლიდან გამომდინარე, ინფორმაციის მოთხოვნის დროს, პირს არ უნდა შეექმნას დაბრკოლება მაღალი გადასახადების გამო. საჯარო დაწესებულებისგან ინფორმაციის მიღების ფასი არ უნდა იყოს იმდენად მაღალი, რომ დაბრკოლდეს ინფორმაციის გამოთხოვა და მიწოდება. ვინაიდან ინფორმაციის ღიაობა თავისი მნიშვნელობით დიდად აღემატება იმ რესურსების ღირებულებას, რომლებიც იხარჯება ამ უფლების უზრუნველსაყოფად.²⁷

ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი ინფორმაციის მიღების თავისუფლების ფარგლებში აგრეთვე, ადგენს საჯარო დაწესებულებების ვალდებულებას, უზრუნველყონ მნიშვნელოვანი და საზოგადოებისათვის საინტერესო დოკუმენტების გამოქვეყნება და ფართოდ გავრცელება. კერძოდ, ნევრი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, გამოაქვეყნონ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ოპერატიული ინფორმაცია საჯარო დაწესებულების ფუნქციონირების შესახებ, მისი ხარჯები, მიზნები, აუდიტორული ანგარიშები, სტანდარტები, მიღწევები;
- ინფორმაცია იმ მოთხოვნების, საჩივრებისა და ქმედებების შესახებ, რაც საზოგადოების წევრებს შეუძლიათ მოიმოქმედონ ამ ორ-

²⁶ აუტრონიკ აგი შვეიცარიის წინააღმდეგ (Autronic AG v. Switzerland), №12726/87, seria A № 178.

²⁷ გამობატვის თავისუფლება – ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის განხორციელება, გზამკვლევი, ევროპის საბჭო, 2005, გვ. 40.
 იხ.: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/article10.pdf>.

განიზაციის მისამართით;

- მითითებები იმ პროცედურებზე, რომელთა მეშვეობითაც საზოგადოების წევრებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკის განსაზღვრასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- ინფორმაციის სახეები, რომელსაც ეს ორგანო ფლობს და მისი შენახვის ფორმა;
- იმ გადაწყვეტილების შინაარსი, რომელიც საზოგადოებას ეხება, ასევე გადაწყვეტილების მიღების მიზეზები და მთავარი მასალა, რომელზე დაყრდნობითაც მომზადდა გადაწყვეტილება.²⁸

ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის მიღების თავისუფლება არ შეიძლება მიჩნეულ იყოს, რომ განსაზღვრავს ხელისუფლების ორგანოს ზოგად (ფართო) ვალდებულებას, უზრუნველყოს საკუთარი ინიციატივით გარემოს შესახებ ინფორმაციის შეგროვება და გავრცელება.²⁹

საქმეში – *ანა მარია გერრა და სხვები იტალიის წინააღმდეგ* (Anna Maria Guerra and others v. Italy)³⁰ მომჩივანი აცხადებდა, რომ ხელისუფლების შესაბამისმა სტრუქტურებმა არ შეასრულეს თავისი პოზიტიური ვალდებულება და არ აცნობეს ქიმიური ქარხნის სიახლოვეს მცხოვრებ მოსახლეობას (მათ შორის, მომჩივნებს) იმ საშიშროების შესახებ, რომელიც ქარხნის ექსპლუატაციას ახლდა. მოსახლეობას ასევე არ ეცნობა უსაფრთხოების იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც მათ უეცარი ავარიის დროს უნდა მიეღოთ, რაც პრეზიდენტის განკარგულებით იყო დამტკიცებული. მომჩივნები თვლიდნენ, რომ სახელმწიფომ ამით დაარღვია კონვენციის მე-10 (გამოხატვის თავისუფლება), მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) და მე-2 (სიცოცხლის უფლება) მუხლებით გარანტირებული მათი უფლებები. ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია თავის გადაწყვეტილებაში დასაშვებობის შესახებ, დაეყრდნო სახელმწიფოს იმ შესაძლებლობებსა და ვალდებულებებს, რომლებიც მას კონვენციის მე-10 მუხლით ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირე-

²⁸ იქვე, გვ. 39.

²⁹ Manual on Human Rights and the Environment, Council of Europe, 2006, pg.80.

³⁰ კ.კორკელია, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, სტატიათა კრებული, 2006, გვ. 22.

ბით ეკისრებოდა და საქმე ხმათა უმრავლესობით დასაშვებად გამოაცხადა. კომისიამ დაადგინა: „ევროპული სამართალი ... ადასტურებს, რომ საზოგადოებრივი ინფორმაცია არის საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის დაცვის უმთავრესი იარაღი იმ სიტუაციებში, რომლებიც გარემოს საშიშროებას უქმნის“. კომისიამ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ სახელმწიფო, არდამდგარი უარყოფითი შედეგის მიუხედავად, ვალდებული იყო, გაეტარებინა ყველა ღონისძიება, რათა საზოგადოებას შეეტყო ქიმიური ქარხნის მავნე ზემოქმედებისა და საშიშროების შემთხვევაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. თუმცა, მოცემულ საქმეში სტრასბურგის სასამართლოს დიდმა პალატამ არ დაადასტურა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევის ფაქტი. სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფო ორგანოები არ არიან ვალდებული შეაგროვონ, დაამუშაონ ან გაავრცელონ საკუთარი ინიციატივით ეკოლოგიური ინფორმაცია. მსგავსი [იგულისხმება პოზიტიური] ვალდებულების შესრულება საჯარო დანესებულებებს გაუძნელდებოდათ იმდენად, რამდენადაც რთული იქნებოდა მათთვის განესაზღვრათ როდის და რა სახის ინფორმაცია უნდა გამოექვეყნებინათ და ვინ უნდა ყოფილიყო ადრესატი.³¹

„(§51). მთავრობა ამტკიცებდა, რომ კონვენციით გათვალისწინებულ გარანტიას წარმოადგენს პირის უფლება – თავისუფლად მიიღოს ინფორმაცია სახელმწიფოს მხრიდან, ამგვარი უფლების ხელყოფის გარეშე. კონვენციის აღნიშნული მუხლი არ ადგენს წევრი სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას. აღნიშნულს განამტკიცებს ის ფაქტიც, რომ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 1087 (1996) რეზოლუცია და ევროპული თანამეგობრობის საბჭოს 90/313/EEC დირექტივა გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით განიხილავს მხოლოდ ინფორმაციაზე წვდომას და არა ინფორმაციის უფლებას. თუ იარსებებდა ინფორმაციის უზრუნველყოფის პოზიტიური ვალდებულება, ძალიან „რთულად აღსრულებადი“ იქნებოდა იგი, რადგან საჭირო იქნებოდა განსაზღვრულიყო თუ როგორ და როდის უნდა გაცემულიყო ინფორმაცია, ხელისუფლების კონკრეტულად რომელი ორგანოს ვალდებულება იქნებოდა, მათ შორის, ინფორმაციის მიმღებ პირთა წრის

³¹ გერრა და სხვები იტალიის წინააღმდეგ (Gerra and others v. Italy), [დიდი პალატა] №116/1996/735/932, §51, 19 თებერვალი, ECHR 1998.

იდენტიფიკაცია“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ საქმეში სტრასბურგის სასამართლოს დიდმა პალატამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი არ ადგენს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას შეაგროვოს და გაავრცელოს ეკოლოგიური ინფორმაცია საკუთარი ინიციატივით. თუმცა, ინფორმაციის მიღების თავისუფლება მიიჩნია, რომ მოიცავს სახელმწიფო ორგანოების აკრძალვას, არ შეზღუდონ პირები მიიღონ ინფორმაცია მათგან, ვინც ამგვარი ინფორმაციის გაცემის სურვილს გამოხატავს. თუმცა, ამ საქმეში სასამართლომ დაადგინა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა იმ საფუძველით, რომ სახელმწიფომ არ გასცა მის ხელთ არსებული ინფორმაცია, რომელიც საშუალებას მისცემდა მომჩივნებს შეეფასებინათ ის რისკი, რაც მათ და მათ ოჯახებს ექმნებოდათ ქარხნის ახლომახლო ტერიტორიაზე ცხოვრების გაგრძელების შედეგად.³²

აღსანიშნავია, რომ ევროპული კონვენციის მე-2 და მე-8 მუხლები ადგენს სახელმწიფო ორგანოების სპეციალურ პოზიტიურ ვალდებულებას უზრუნველყონ განსაზღვრულ შემთხვევებში გარემოსთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა.³³ კერძოდ, ეს ვალდებულება გარკვეულწილად, უკავშირდება ევროპული კონვენციის მე-2 და მე-8 მუხლებიდან გამომდინარე იმ პოზიტიურ ვალდებულებას, რომლის თანახმადაც, სახელმწიფოებს ევალებათ უზრუნველყონ ინფორმაციის გაცემა თუ საფრთხის ქვეშ დგას პირთა სიცოცხლის ან პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების რეალიზება. სასამართლოს შეფასებით, როდესაც მოწმდება თუ რამდენად ექცევა საფრთხის შემცველი მოქმედებების კონკრეტული კონტექსტი სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ფარგლებში, ამ დროს სპეციალური აქცენტი უნდა გაკეთდეს საზოგადოების ინფორმაციის უფლებაზე.³⁴ დამატებით, ევროპული კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე, სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ სახელმწიფოებს აკისრიათ ვალდებულება „სათანადოდ აცნობონ სა-

³² გერრა და სხვები იტალიის წინააღმდეგ (Gerra and others v. Italy), [დიდი პალატა] №116/1996/735/932, §60, 19 თებერვალი, ECHR 1998.

³³ Manual on Human Rights and the Environment, Council of Europe, 2006, pg.81.

³⁴ ონერილდიზი თურქეთის წინააღმდეგ (Oneryildiz v. Turkey), [დიდი პალატა], №48939/99, §90, 30 ნოემბერი, ECHR 2004.

ზოგადობას ისეთი ინფორმაცია, რომელიც ეხება სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველ მდგომარეობას, მათ შორის, ბუნებრივ კატასტროფებს“.³⁵

ინფორმაციაზე წვდომა საზოგადოების წევრებისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რათა მათ სწორად შეაფასონ ის ეკოლოგიური საფრთხეები, რომელთა წინაშეც შესაძლოა იმყოფებოდნენ. მაგალითად, საქმეში **მაქვინლი და ეგანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (McGinley and Egan v. the United Kingdom)**³⁶ მომჩივნები იყვნენ სამხედრო პირები, მისიით წყნარ ოკეანეში, როდესაც ბრიტანეთის მთავრობამ გამოსცადა ბირთვული იარაღი. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ამგვარი ტესტების შესახებ მონაცემების გაუცემლობით სახელმწიფომ დაარღვია ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი, რადგან ანგარიშები შესაძლებლობას მისცემდათ მომჩივნებს შეეფასებინათ, იმყოფებოდნენ თუ არა ისინი საშიშ რადიაციულ ზონაში, რომელიც საფრთხეს შეუქმნიდა მათ ჯანმრთელობას. სასამართლომ მიიჩნია, რომ ამ შემთხვევაში ვრცელდებოდა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი იმ საფუძვლით, რომ ისეთი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რომელიც მომჩივნებს შესაძლებლობას აძლევს გააქარწყლოს შიში ან შეაფასოს ის საფრთხე, რომლის წინაშეც იმყოფებიან, საკმაოდ მჭიდროდ უკავშირდება ევროპული კონვენციით დაცულ პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას. დამატებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ თუ სახელმწიფო მონაწილეობს სახიფათო მოქმედებებში, რომელსაც შესაძლოა თან სდევდეს უარყოფითი შედეგი საზოგადოების ჯანმრთელობაზე, ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი მოითხოვს, რომ მან უზრუნველყოს ეფექტური და ხელმისაწვდომი პროცედურის დამკვიდრება, რაც შესაძლებლობას მისცემს საზოგადოების წევრებს მოიძიონ მათთვის საჭირო და შესაბამისი ინფორმაცია. ამასთან თუ არსებობს ინფორმაციის გაცემის ვალდებულება, პირებს უნდა ჰქონდეთ მასზე წვდომა ხანგრძლივი და რთული პროცედურების გარეშე.³⁷ თუმცა, მოცემულ საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნებმა არ მიმართეს განსაზღვრული ინფორმაციის მისაღებად ყველა საჭირო ზომას. ამასთან, სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწი-

³⁵ ბუდაევა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Budayeva and Others v. Russia), №15339/02, №21166/02, №20058/02, №11673/02 და №15343/02), §131, 22 მარტი, ECHR 2008.

³⁶ მაქვინლი და ეგანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (McGinley and Egan v. the United Kingdom), №10/1997/794/995-996, 9 ივნისი, ECHR 1998.

³⁷ Manual on Human Rights and the Environment, Council of Europe, 2006, pg.83.

ფომ ინფორმაციის გაცემისთვის საჭირო პროცედურის უზრუნველყოფით შეასრულა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულება. შესაბამისად, ამ საქმეში აღნიშნული მუხლის დარღვევა არ დადგენილა.

საქმეებში: **გიაკომელი იტალიის წინააღმდეგ** (Giacomelli v. Italy)³⁸ და **ლემკე თურქეთის წინააღმდეგ** (Lemke v. Turkey)³⁹ სტრასბურგის სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა შემდეგი:

სამთავრობო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომელიც ეხება ეკოლოგიური და ეკონომიკური პოლიტიკის რთულ საკითხებს, სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს შესაბამისი კვლევების განხორციელებას. ამგვარი კვლევის შედეგების საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობა კი მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ საზოგადოების წევრებს შესაძლებლობა მიეცეთ შეაფასონ ის საფრთხეები, რომელთა წინაშეც შესაძლოა იმყოფებოდნენ.

სტრასბურგის სასამართლომ ზემოაღნიშნული განმარტება ეხმიანება **ტატარი რუმინეთის წინააღმდეგ** (Tatar v. Romania) საქმესაც⁴⁰, სადაც სასამართლომ იმსჯელა ოქროს მალაროს ექსპლუატაციის ვადის გახანგრძლივება ექცეოდა თუ არა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლიდან გამომდინარე სახელმწიფო ორგანოს პასუხისმგებლობის ფარგლებში. ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნული კანონით გათვალისწინებული საჯარო განხილვის წესი არ იქნა დაცული, რადგან განხილვებში მონაწილეებს არ ჰქონდათ წვდომა იმ ანგარიშის შედეგებზე, რომელიც საფუძვლად ედო სადავო გადაწყვეტილებას, რითაც გაიცა სანარმოზე ექსპლუატაციის ნებართვა. ამ საქმეში, სასამართლომ კიდევ ერთხელ მოიხმო საერთაშორისო გარემოსდაცვითი სტანდარტები, რომლის თანახმადაც, გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა და ამ სფეროში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა გათვალისწინებულია ორჰუსის კონვენციით, ამასთან, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებული R1430 რე-

³⁸ გიაკომელი იტალიის წინააღმდეგ (Giacomelli v. Italy), 159909/00, §83, 2 ნოემბერი, ECHR 2006.

³⁹ ლემკე თურქეთის წინააღმდეგ (Lemke v. Turkey), 117381/02, §41, 5 ივნისი, ECHR 2007.

⁴⁰ ტატარი რუმინეთის წინააღმდეგ (Tatar v. Romania), 167021/01, 27 იანვარი, ECHR2009.

ზოლუცია სამრეწველო საშიშროებების შესახებ მიზნად ისახავს გააფართოოს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ფარგლები ამ სფეროში ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით.⁴¹

საქმეში *როჩე გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ* (Roche v. The United Kingdom)⁴² მომჩივანი, რომელიც მონაწილეობას იღებდა პორტონ დაუნში ქიმიური იარაღის გამოცდაში, სტრასბურგის სასამართლოს წინაშე დავობდა, რომ გაერთიანებულმა სამეფომ მას არ მიაწოდა ინფორმაცია ჯანმრთელობისთვის თუ რაოდენ საშიში იყო ამ ცდებში მონაწილეობა, რითაც დაარღვია ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება. მომჩივანმა ჯანმრთელობის მდგომარეობის მნიშვნელოვნად გაუარესების შემდეგ არაერთხელ წარუმატებლად ეცადა მოეპოვებინა ინფორმაცია ჩატარებული ცდების ანგარიშებზე. მოპასუხე სახელმწიფო მიუთითებდა, რომ მოცემულ შემთხვევაში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვის არცერთი საფუძველი არ არსებობდა, თუმცა, ინფორმაციის გაცემას ვერ ახდენდა მონაცემების დაკარგვის გამო. ამ საქმეში სტრასბურგის სასამართლომ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ ინტერესებს შორის სამართლიანი ბალანსის დაცვის აუცილებლობაზე⁴³ და დაადგინა გაერთიანებული სამეფოს მიერ ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულების დარღვევა.

(§162). მსგავს შემთხვევებში, სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოიშვება პოზიტიური ვალდებულება, რომელიც უზრუნველყოფს „ეფექტური და ხელმისაწვდომი პროცედურის“ არსებობას მომჩივნისთვის, რათა მან შეძლოს „ყველა რელევანტური და სათანადო ინფორმაციის“ მიღება (მსგავსი განმარტება გვხვდება აგრეთვე, საქმეში *McGinley and Egan v. the United Kingdom*, §101⁴⁴), რაც მოცემულ პირობებში მომჩივანს შესაძლებლობას მისცემდა შეეფასებინა ის რისკები, რომელთა წინაშეც ის იმყოფებოდა ცდებში მონაწილეობის შედეგად.

⁴¹ Manual on Human Rights and the Environment, Council of Europe, 2006, pg. 118.

⁴² როჩე გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Roche v. The United Kingdom), №32555/96, 19 ოქტომბერი, ECHR 2005.

⁴³ იქვე, §157.

⁴⁴ მაქგინლი და ეგანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (McGinley and Egan v. the United Kingdom), №10/1997/794/995-996, 9 ივნისი, ECHR 1998.

საქმეში **კენედი უნგრეთის წინააღმდეგ** (Kenedi v. Hungary)⁴⁵ მომჩივანი, რომელიც იყო ისტორიკოსი, ატარებდა შედარებით სამართლებრივ კვლევას ყოფილი სსრკ-ის ქვეყნებში დიქტატორულ რეჟიმში სახელმწიფო საიდუმლო სამსახურების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მომჩივანმა უნგრეთის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს მიმართა განცხადებით შესაბამისი ინფორმაციის მისაღებად, რაზეც უარი ეთქვა სახელმწიფო საიდუმლოების საფუძვლით. მოცემულ საქმეში სტრასბურგის სასამართლომ იმსჯელა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხზე ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის (გამოხატვის თავისუფლება) ფარგლებში და დაადგინა დარღვევა.

- (§ 43). სასამართლო აღნიშნავს, რომ მოპასუხე მთავრობამ აღიარა მომჩივნის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის ფაქტი. სასამართლო ხაზს უსვამს, რომ კანონიერი ისტორიული კვლევის ჩატარებისთვის ავთენტურ დოკუმენტალურ მასალებზე წვდომა წარმოადგენდა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული უფლების – გამოხატვის თავისუფლების რეალიზებისთვის აუცილებელ ელემენტს. აქედან გამომდინარე, მომჩივნის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა მიიჩნევა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევად, თუ ჩარევა არ არის ლეგიტიმური და არ აკმაყოფილებს ამავდროულად მე-2 პარაგრაფით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. კერძოდ, უნდა დადგინდეს იყო თუ არა ჩარევა „კანონით გათვალისწინებული“, ემსახურებოდა თუ არა ერთ ან მეტ ლეგიტიმურ მიზანს და „აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში“ იმისათვის რომ იქნეს მიღწეული ეს მიზანი.
- (§44). სასამართლო განმეორებით აღნიშნავს, მე-10 მუხლის მეორე პარაგრაფის ფრაზა „კანონით გათვალისწინებული“ მთლიანად ეყრდნობა „კანონიერების“ ცნებას, რომელსაც კონვენციის ტექსტში ვხვდებით სხვადასხვა ადგილას იგივე ან მსგავსი ფორმულირებით, კერძოდ, ევროპული კონვენციის მე-8 და მე-11 მუხლების მეორე პარაგრაფების მიხედვით ფორმულირებულია „კანონის შესაბამისად“ და „კა-

⁴⁵ კენედი უნგრეთის წინააღმდეგ (Kenedi v. Hungary), №31475/05, 26 მაისი, ECHR 2009.

ნონიერი“. „კანონიერების“ ცნება კონვენციაში კი, გარდა იმისა, რომ თანხვედრაშია ეროვნული კანონმდებლობასთან, აგრეთვე, მოიცავს ეროვნულ კანონმდებლობით გათვალისწინებულ ხარისხობრივ პირობებს, როგორებიცაა განჭვრეტადობა და ზოგადად, თვითნებობის გამორიცხვა (*Rekvenyi v. Hungary [GC], no. 25390/94, § 59, ECHR 1999-III*).

საქმეში **ტარსასაგ ა შაბადსაგჯოგოკერტი უნგრეთის წინააღმდეგ** (*Tarsasag A Szabadsagjogokert v. Hungary*)⁴⁶, რომელიც შეეხებოდა არასამთავრობო ორგანიზაციისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხს, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პარაგრაფის დარღვევა. კერძოდ, 2004 წლის მარტში პარლამენტის წევრმა და სხვა პირებმა საკონსტიტუციო სასამართლოში საჩივარი წარადგინეს სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლების ცვლილებების კონსტიტუციურობის შესწავლის მოთხოვნით, რომლებიც ნარკოტიკულ დანაშაულს ეხებოდა. რამდენიმე თვის შემდეგ მომჩივანმა – ნარკოტიკებთან დაკავშირებული პოლიტიკის სფეროში აქტიურმა ადამიანის უფლებათა არასამთავრობო ორგანიზაციამ, მოითხოვა განხილვაში მყოფ საჩივარზე წვდომა, თუმცა, აღნიშნული ინფორმაცია ორგანიზაციას არ მიენოდა იმ საფუძვლით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრებით, მოთხოვნილი ინფორმაცია იყო „პერსონალური“ ხასიათის, რომლის გაცემაც მომჩივნის თანხმობის გარეშე იყო დაუშვებელი. არასამთავრობო ორგანიზაციამ წარუმატებლად ეცადა არსებული მიდგომის გამოსწორებას ეროვნულ სასამართლოებში მიმართვის გზით, რის შემდეგაც კონვენციის მე-10 მუხლზე დაყრდნობით საჩივარი წარადგინა სტრასბურგის სასამართლოში. ინფორმაციის თავისუფლების დაცვის სფეროში მომჩივნის – არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობის გათვალისწინებით, რაც *inter alia*, მოიცავდა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ სამართალწარმოებას, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მომჩივანი დაახასიათა, როგორც „საზოგადოებრივი დარაჯი“, რომლის საქმიანობაც კონვენციის შესაბამისად, ისეთივე დაცვით სარგებლობდა, როგორც პრესა. ამ საქმეში სასამართლომ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მე-10 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის მიღების თავისუფლება პირველ რიგში, მთავრობებს უკრძალავ-

⁴⁶ ტარსასაგ ა შაბადსაგჯოგოკერტი უნგრეთის წინააღმდეგ (*Tarsasag A Szabadsagjogokert v. Hungary*), №37374/05, 14 აპრილი, ECHR 2009.

და, შეეზღუდათ იმ ინფორმაციის გაცემა, რომელთა გავრცელებაც სურდათ ან შესაძლოა სურდეთ სხვებს. მიუხედავად ამისა, მომჩივნის საქმე თავდაპირველად ეხებოდა საზოგადოებრივი დარაჯის ფუნქციის განხორციელებას, ვიდრე ოფიციალურ დოკუმენტებთან წვდომაზე უარს. მომჩივნის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია იყო მზა და ხელმისაწვდომი და მთავრობის მხრიდან არ საჭიროებდა რაიმე მონაცემის შეგროვებას. ასეთ გარემოებებში, სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, მოთხოვნილი ინფორმაციის მიღებაში მომჩივნისთვის ხელი არ შეეშალა. საბოლოოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ საჯარო ინტერესის თაობაზე ინფორმაციის წვდომის ხელის შეშლისთვის გამიზნულმა დაბრკოლებებმა შესაძლოა მედიაში ან დაკავშირებულ სფეროში მომუშავე პირებს გული აუცრუოს მათი „საზოგადოებრივი დარაჯის“ არსებითი როლის შესრულებაზე და ასევე, გავლენა მოახდინოს მათ შესაძლებლობაზე, მიაწოდონ ზუსტი და სანდო ინფორმაცია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადამიანის უფლებათა კონვენცია და მისი დამატებითი ოქმები პირდაპირ არ ადგენენ ეკოლოგიური უფლებების დაცვის გარანტიებს, შესაბამისად, ევროპული კონვენციის მოქმედების თავდაპირველ ეტაპზე ეკოლოგიურ უფლებებთან დაკავშირებული საჩივრები არსებითად არც განიხილებოდა, თუმცა, მოგვიანებით ეკოლოგიური უფლებების რეალიზაციის საკითხმა აქტიურად დაიწყო განხილვა და სასამართლოს მიდგომაც აღნიშნულთან დაკავშირებით მკვეთრად შეიცვალა. სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკაში ამგვარი კატეგორიის უფლებების დაცვა განვითარდა კონვენციის მუხლების ფართო და მრავალმხრივი ინტერპრეტაციის საფუძველზე, არაპირდაპირი გზით – ე.წ. რიკოშეტის (par ricochet) პრინციპის მეშვეობით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, ევროპულ სასამართლოს არაერთი მნიშვნელოვანი საქმე აქვს განხილული ძირითადად, ევროპული კონვენციის მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემა) და მე-10 (გამოხატვის თავისუფლება) მუხლების ქრილში. კონვენცია მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს ღია მმართველობის დამკვიდრებისკენ, რაც გულისხმობს დემოკრატიულ საზოგადოებაში საჯარო დანესებულებების ერთ-ერთ უმნიშვნელოვნეს როლს – უზრუნველყონ ინფორმაციის მაქსიმალური ღიაობა.

გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით

გარემოს დაცვა ერთ-ერთი აქტუალური და პრობლემური საკითხია მთელ მსოფლიოში მათ შორის, საქართველოშიც. ზოგად ქრილში თუ განვიხილავთ, გარემოს დაცვა გულისხმობს ყველა იმ ღონისძიებას, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის და ბუნების სასიცოცხლო საფუძვლების მთლიანობაში შენარჩუნებას და გარემოში არსებული დაზიანებების აღმოფხვრას. ამ შემთხვევაში წინა პლანზე დგას ადამიანის მიერ გამოწვეული ზიანის შეზღუდვა და გარემოზე ზემოქმედება. სამწუხაროდ, ეკოლოგიური უფლებების დარღვევის ფაქტების სიმრავლის მიუხედავად, საქართველოში, განვითარებული ქვეყნების მსგავსი მიდგომების დანერგვა გარემოს დაცვასთან მიმართებით კვლავ გამოწვევას წარმოადგენს.

საქართველოში უკვე ჩამოყალიბდა გარკვეული საკანონმდებლო ბაზა, რომელიც შემუშავდა ევროკავშირის მიერ მიღებული სხვადასხვა სამართლებრივი აქტის საფუძველზე. ჯერ კიდევ 1995-2005 წლებში, საქართველოს პარლამენტმა სამ ათეულამდე საკანონმდებლო აქტი მიიღო გარემოს დაცვისა და ბუნებათსარგებლობის სფეროში. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ საქართველოს კონსტიტუციისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საერთაშორისო შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებს, მათ შორის გარემოს დაცვისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების სფეროში, ენიჭებათ უპირატესობა საქართველოს შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებთან შედარებით, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციას.⁴⁷ საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლი ეხება გარემოს დაცვის უფლებას, რომელიც ჩამოყალიბებულია შემდეგი რედაქციით: „ყველას აქვს უფლება ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით. ყველას აქვს უფლება დროულად მიიღოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. ყველას აქვს უფლება ზრუნავდეს გარემოს დაცვა-

⁴⁷ კ. კორკელია, ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები და მათი გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, სტატიათა კრებული, 2006, გვ. 9.

ზე. გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლება უზრუნველყოფილია კანონით. ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობა უზრუნველყოფილია კანონით“.

გარემო პირობების მზარდმა დეგრადაციამ და მასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა საჭირო გახადა ჯანმრთელობისათვის უვნებელი გარემოს კონსტიტუციური დაცვის საჭიროება. მოცემული დებულების მიხედვით, ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში ცხოვრება გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობა. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით⁴⁸, დანიშნულებისა და სულისკვეთების გათვალისწინებით უდავოა, რომ კონსტიტუცია ესწრაფვის ჯანსაღ გარემოზე უფლების მაღალი სტანდარტების ჩამოყალიბებას და მას ადამიანის ძირითად უფლებად განიხილავს. ეკოლოგიური უფლებების კონსტიტუციურსამართლებრივ სივრცეში მოქცევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფოს ანგარიშვალდებულების, გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, საზოგადოებრივი მონაწილეობისა და სხვა გარემოსდაცვითი მექანიზმების გამართული, ეფექტური მუშაობისა და კოორდინაციისათვის. ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლების დადგენით, საქართველოს კონსტიტუცია კონსტიტუციურ ღირებულებათა წესრიგში ადასტურებს და განამტკიცებს მდგარდი ეკოლოგიური განვითარების განსაკუთრებულ მნიშვნელობას. რაც შეეხება მომავალი თაობების ინტერესს, რომელიც კონსტიტუციის 29-ე მუხლის მე-2 ნაწილით არის გარანტირებული, საკონსტიტუციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მომავალი თაობების ინტერესების დაცვის საჭიროებაზე და მიუთითებს, რომ ბუნებათსარგებლობა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ისე, რომ ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, ქვეყნის მდგარდი განვითარების პარალელურად დაბალანსდეს ეკოლოგიური ინტერესები, რათა ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო შენარჩუნდეს. ასევე, საკონსტიტუციო სასამართლო ხაზს უსვავს იმ საკითხს⁴⁹, რომ გარემოს მდგომარეობის შესა-

⁴⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე № 2/1/525.

⁴⁹ იქვე.

ხეობის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარემოს დაცვის სფეროში საზოგადოების მონაწილეობის თვალსაზრისით. შესაბამისად, გარემოს მდგომარეობის შესახებ შესაგროვებელი ინფორმაცია უნდა აკმაყოფილებდეს იმ შინაარსობრივ მინიმუმს, რაც აუცილებელია გარემოს დაცვის სფეროში საზოგადოების მონაწილეობის უფლების რეალიზებისთვის. საქართველოს კონსტიტუცია ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფის მეტ გარანტიას იძლევა და სახელმწიფოს აკისრებს არა მხოლოდ ნეგატიურ ვალდებულებას, ხელი არ შეუშუალოს პიროვნებას ინფორმაციის მიღებაში, არამედ პოზიტიურ ვალდებულებას – გასცეს მის ხელთ არსებული ინფორმაცია. საქართველოს კონსტიტუცია მხოლოდ იმ შემთხვევაში ზღუდავს აღნიშნულ უფლებას, თუ მოთხოვნილი ინფორმაცია შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.⁵⁰

2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა „საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებას“.⁵¹ ამ ხელშეკრულებით, საქართველომ აიღო ვალდებულება, გაატაროს რეფორმები და უზრუნველყოს ქვეყნის კანონმდებლობის ევროკავშირის 300-მდე სამართლებრივ აქტთან პროგრესული დაახლოება (ეტაპობრივად, შეთანხმებული ვადების მიხედვით), მათ შორის, გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების სფეროში.⁵² კერძოდ, ასოცირების შეთანხმების მიხედვით, საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია პატივი სცეს მდგრადი განვითარების პრინციპებს, დაიცვას გარემო და შეამსუბუქოს კლიმატის ცვლილების პროცესი, მუდმივად გააუმჯობესოს გარემოსდაცვითი მმართველობა და გარემოსდაცვითი საჭიროების გათვალისწინება, საზღვრისპირა თანამშრომლობისა და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულების მიზნით. ამ დანაწესის მიზანს წარმოადგენს გარემოსდაცვითი მმართველობის გაძლიერება, გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ ახალი კანონმდებლობის მიღება, საზოგადოებისათვის გარემოს შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და საზოგადო-

⁵⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე №2/3/364.

⁵¹ იხ.: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959>.

⁵² ასოცირების დღის წესრიგით განსაზღვრული გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულების შეფასება 2014-2016 წლებში, მწვანე ალტერნატივა, გვ.1

იხ.: http://greenalt.org/wp-content/uploads/2016/09/shesrulebis_shefaseba_september_2016_geo.pdf.

ების მონაწილეობა გადანყვეტილების მიღების პროცესში, მათ შორის დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით; პოლიტიკური აქტივობის სხვადასხვა სფეროში გარემოს დაცვითი საკითხების ინტეგრირება და გარემოს დაცვითი ინფორმაციის გაზიარების მექანიზმის გაუმჯობესება, რაც შეესაბამება ერთიანი გარემოსდაცვითი ინფორმაციის სისტემის (SEIS) პრინციპებს.

2003/4/EC დირექტივა საზოგადოების გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შესახებ – წარმოადგენს ორჰუსის კონვენციის პირველ პრინციპთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ინსტრუმენტს. ის გულისხმობს გარემოსდაცვითი ინფორმაციის „შეძლებისდაგვარად ფართო სისტემურ ხელმისაწვდომობასა და გავრცელებას“, რომლის მიზანია ადმინისტრაციული გადანყვეტილებების გამჭვირვალობის გაზრდა, საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობა და კორუფციის რისკების შემცირება გარემოსდაცვითი ინფორმაციის სფეროში. კერძოდ, 2003/4/EC დირექტივა აღიარებს გამონაკლისების აუცილებლობას, რომელიც გულისხმობს საერთაშორისო ურთიერთობების, ეროვნული თავდაცვის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, კომერციული, სამრეწველო და პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისგან განსხვავებით, იგი ითვალისწინებს, რომ „ინფორმაციაზე უარის თქმის საფუძველი... უნდა განიხილებოდეს შეზღუდულად, კონკრეტული საქმის გათვალისწინებით, როდესაც ინფორმაციის გასაჯაროება ემსახურება საზოგადოებრივ ინტერესს“. აღნიშნული დირექტივა მოითხოვს ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლების განმარტებებისა და პროცედურების შემუშავებას ეროვნულ კანონმდებლობაში, ინფორმაციის ღიაობის პრეზუმპციაზე დაყრდნობით. ის ითხოვს, რომ „ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საზოგადოებრივი სარგებელი უნდა შედარებულ იქნას მისი საიდუმლოდ მიჩნევის სარგებელთან“.

აქედან გამომდინარე, დირექტივა მოითხოვს საზოგადოებრივი ინტერესის ტესტის შემოღებას, როდესაც მოთხოვნილი გარემოსდაცვითი ინფორმაცია შეიცავს კომერციულ, პერსონალურ ან სახელმწიფო კონფიდენციალურ ინფორმაციას. ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ საზოგადოებრივი ინტერესი ინფორმაციის გასაჯაროებასთან მიმართებაში უფრო მაღალია, ვიდრე გამონაკლისის შენარჩუნების საზოგადოებრივი ინტერესი. აქედან გამომდინარე, თითოეულ კონკრე-

ტულ შემთხვევაში, შესაბამისმა უწყებამ, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, ნათლად უნდა დაასაბუთოს, თუ როგორ ბალანსდება საჯარო ინტერესი ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის პირობებში. დირექტივა ასევე მოითხოვს, რომ შესაბამისმა საჯარო უწყებამ უზრუნველყოს კონფიდენციალური. გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ამ ინფორმაციის გამოყოფით „იმ დანარჩენი მოთხოვნილი ინფორმაციისგან“.⁵³

2014 წელს შემუშავდა საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2014-2020 წლებისათვის, რომელიც დამტკიცდა საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 30 აპრილის №2315-III დადგენილებით. სტრატეგიის თანახმად: *სტრატეგიის უმთავრესი მიზანია სისტემური მიდგომის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებიდან გამომდინარე ვალდებულებების ყოველდღიურ ცხოვრებაში შესრულებას. ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია ითვალისწინებს ადამიანის ეკოლოგიური უფლებების უზრუნველყოფას. მისი მიზანია „ადამიანის ეკოლოგიური უფლებების დაცვის შინაარსებრივი სამართლებრივი გარანტიების განმტკიცება გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესის საჯაროობის მექანიზმების გაუმჯობესებით და გარემოსდაცვით სფეროში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის საერთაშორისო სამართლებრივი კრიტერიუმების დანერგვით, აგრეთვე გარემოსდაცვით საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება“.*⁵⁴

საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიშში⁵⁵ ყურადღება გამახვილებულია ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლებაზე და გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე. დიდ საფრთხეს წარმოადგენს მშენებლობასთან დაკავშირებული ხარვეზიანი რეგულაციები, რომელიც საფრთხეს უქმნის მოქალაქეთა უფლებას იცხოვრონ ჯანსაღ და უსაფრთხო გარემოში. ასევე პრობლემურია სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ კანონმდებლო-

⁵³ იხ. : https://osgf.ge/wp-content/uploads/2018/03/Environment_GEO.pdf გვ.4.

⁵⁴ იხ.: <https://matsne.gov.ge/ka/document/download/2348314/0/ge/pdf>.

⁵⁵ საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 219.
იხ.: <http://www.ombudsman.ge/res/docs/2019033019563052300.pdf>.

ბასთან დაკავშირებული ხარვეზი და სხვადასხვა სავაჭრო ობიექტზე გაჩენილი ხანძრის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების, ხშირ შემთხვევაში, გაჭიანურების პრობლემა. აღნიშნულ ანგარიშში, სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს ადგილობრივი თვითმართვებლობის ორგანოებს, რომ ორჰუსის კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულების შესაბამისად, უზრუნველყოფილი იქნას სარეკრეაციო ტერიტორიასთან დაკავშირებით დაგეგმილი ცვლილებების თაობაზე დაინტერესებული საზოგადოების სათანადო და გასაგები ფორმით ინფორმირება და გადაწყვეტილების მიღების ადრეულ ეტაპზე მათი ჩართულობა.

სამართლებრივ სახელმწიფოში სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაზე საზოგადოებრივი კონტროლისათვის მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოების თითოეული წევრს ხელი მიუწვდებოდეს საჯარო დაწესებულებებში არსებულ ინფორმაციაზე. გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ის მინიმალური პრერეკვიზიტია, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია საჯარო დაწესებულების ანგარიშვალდებულების და საზოგადოების ეფექტური მონაწილეობის უზრუნველყოფა მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში.⁵⁶

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (ძირითადად, III თავი) ფარავს ორჰუსის კონვენციის მე-4 მუხლის მოთხოვნებს. კოდექსის თანახმად, ყველას აქვს უფლება, გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მისი ასლები, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს. ინფორმაციის მოთხოვნის უფლება აქვს ყველა პირს (მუხლი 37). კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად: (i) პირი არ არის ვალდებული განცხადებაში მიუთითოს ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი (ნაწილი 2);

(ii) ყველას აქვს უფლება გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა ან წარუდგინოს ინფორმაციის მომთხოვნს სათანადო წესით დამოწმებული ასლი (პირველი ნაწილი);

⁵⁶ ორჰუსის კონვენციის განხორციელება საქართველოში, ალტერნატიული ანგარიში, ასოციაცია მწვანე ალტერნატივე, 2011, გვ.4.

(iii) თუ ინფორმაცია საჯარო დაწესებულებაში სხვადასხვა ფორმით არსებობს, პირს აქვს უფლება აირჩიოს მისთვის მისაღები ფორმა (პირველი ნაწილი).

საქართველოში ინფორმაციის გაცემისათვის დადგენილია კიდევ უფრო მკაცრი ვადები, ვიდრე ორჰუსის კონვენციაში. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად (მუხლი 40, პირველი ნაწილი), საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია, მათ შორის, ელექტრონული ფორმით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, დაუყოვნებლივ ან არაუგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემა მოითხოვს:

- სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას;
- მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას;
- სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას. საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს ინფორმაცია უკვე არსებული ფორმით. იგი არ არის ვალდებული შექმნას რაიმე ინფორმაცია საზოგადოების მოთხოვნის პასუხად.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლი ეხება ინფორმაციას, რომლის გასაიდუმლება დაუშვებელია და მათ შორის არის ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება ადამიანის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას. მოცემული დანაწესის მიზანს წარმოადგენს საზოგადოების მაქსიმალური ინფორმირება და ჩართულობა გარემოს დაცვით საკითხებთან დაკავშირებით.

მოთხოვნილი გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიწოდების უარყოფის შემთხვევებს განსაზღვრავს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (მუხლი 41). ადმინისტრაციული ორგანოს უარი ინფორმაციის გაცემაზე წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულსამართლებრივ აქტს, რომელიც უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას (მუხლი 53).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, სა-

ქართველოში არსებობს სულ სამი სახის საიდუმლო ინფორმაცია: პერსონალური მონაცემები (მუხლი 27¹), კომერციული (მუხლი 27²) და სახელმწიფო (მუხლი 27⁴). კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენს ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის სანარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამოყვანებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას. სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია განისაზღვრება სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონმდებლობით. სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის შემცველ დოკუმენტებზე დასმულია საიდუმლოობის გრიფი – რეკვიზიტი, რომელიც ადასტურებს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის საიდუმლოობის ხარისხს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 31-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, კომერციული ინფორმაცია გასაიდუმლოვდება უვადოდ. კომერციული საიდუმლოება ღიად უნდა გამოცხადდეს, თუ მას აღარ აქვს ის ღირებულება, რომლის გამოც ასეთად იქნა მიჩნეული. გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების და მისი ვადის გაგრძელების შესახებ ასახულია საჯარო რეესტრში. როგორც უკვე აღინიშნა, არსებობს ინფორმაციის ჩამონათვალი, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია (მათ შორის, ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ საშიშროებათა შესახებ, რაც ადამიანთა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას ემუქრება (მუხლი 42)).

პერსონალური მონაცემების ცნება და მათ დაცვა/დამუშავებასთან დაკავშირებული ურთიერთობები წესრიგდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით (2012), რომლის თანახმადაც, პერსონალურ მონაცემს წარმოადგენს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად (მუხლი 29), თანამდებობის პირის მიერ გადაწყვეტილებათა მომზადების პროცესში მონაწილე სხვა საჯარო მოსამსახურეთა (გარდა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებისა) ვინაობა დაცულია გამხელისაგან აღმას-

რულებელი პრივილეგიით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საჯარო დაწესებულებებისადმი უფრო მკაცრი მოთხოვნებია, ვიდრე ორპუსის კონვენციით არის გათვალისწინებული. ინფორმაციის მოთხოვნის შემცველი განცხადების მიღებისას, საჯარო დაწესებულება ვალდებულია 5 დღის განმავლობაში დაადგინოს, თუ რომელ საჯარო დაწესებულების ფუნქციას შეესაბამება მოთხოვნილი ინფორმაციის ქონა და თავად გადაუგზავნოს განცხადება ამ საჯარო დაწესებულებას. თუ ასეთი დაწესებულება არ მოიძებნა, განცხადების შეტანიდან 5 დღის განმავლობაში, განცხადება შესაბამისი დასაბუთებით უნდა დაუბრუნდეს განმცხადებელს (მუხლი 80).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ამომწურავად განსაზღვრავს იმ ინფორმაციათა ჩამონათვალს, რომელიც შეიძლება მიეკუთვნებოდეს საიდუმლო ინფორმაციას (მუხლი 2, პირველი ნაწილი, ქვეპუნქტი „ნ“). ესენია: საჯარო დაწესებულებაში დაცული აგრეთვე, საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს:

- პერსონალურ მონაცემებს;
- სახელმწიფო საიდუმლოებას;
- კომერციულ საიდუმლოებას.

ამასთან, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც არეგულირებს სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის საკითხებს, ადგენს იმ ინფორმაციათა ნუსხას, რომელიც არ შეიძლება მიეკუთვნოს სახელმწიფო საიდუმლოებას (მუხლი 7), მათ შორისაა ინფორმაცია:

- სტიქიური უბედურების, კატასტროფისა და სხვა განსაკუთრებული მოვლენის შესახებ, რომლებიც მოხდა ან შეიძლება მოხდეს და ემუქრება მოსახლეობის უსაფრთხოებას;
- გარემოს მდგომარეობის თაობაზე, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის, მისი ცხოვრების დონის (მათ შორის, სამედიცინო მომსახურებისა და სოციალური უზრუნველყოფის) შე-

სახებ, აგრეთვე სოციალურ-დემოგრაფიული მარკენებლების, მოსახლეობის განათლებისა და კულტურის თაობაზე.

ამ კატეგორიის ინფორმაციას ვერ მიენიჭება სახელმწიფო საიდუმლოების სტატუსი. შესაბამისად, კანონმდებლობა იმთავითვე გამორიცხავს გარემოს შესახებ ინფორმაციისთვის საიდუმლოების რომელიმე კატეგორიის მიკუთვნების შესაძლებლობას. ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობა გამორიცხავს გარემოს შესახებ ინფორმაციის საიდუმლო ინფორმაციის რომელიმე კატეგორიისთვის მიკუთვნებას, არ ადგენს რაიმე სპეციალურ რეგულაციებს მისი საიდუმლო ინფორმაციისგან გამოყოფისთვის, თუმცა, კანონმდებლობა ითვალისწინებს საიდუმლო ინფორმაციიდან არასაიდუმლო ნაწილის გამოცალკევებისა და გასაჯაროების ზოგად წესს, თუ პრაქტიკაში დადგება შემთხვევა, რომ რაიმე დოკუმენტში, რომელიც შეიცავს საიდუმლო კატეგორიას მიკუთვნებულ ინფორმაციას, ასახული იქნება ასევე ინფორმაცია, რომელიც არ შეიძლება იყოს საიდუმლო. ასეთ შემთხვევაში, ინფორმაციის შემქმნელი (წყარო) ვალდებულია მოახდინოს ინფორმაციის გამოცალკეება და ხელმისაწვდომობა იმგვარად, რომ დაცული იქნას პერსონალური მონაცემები, კომერციული და სახელმწიფო საიდუმლოება. კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 33-ე მუხლი (საიდუმლო ინფორმაციის გამოქვეყნების წესი) ადგენს, რომ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის ამოღების შემდეგ, საიდუმლო საჯარო ინფორმაციის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების დახურული სხდომის ოქმის გონივრულ ფარგლებში გამოცალკეებადი ნებისმიერი ნაწილი უნდა გამოქვეყნდეს, რაც მის ხელმისაწვდომობას გულისხმობს. რაც შეეხება სახელმწიფო საიდუმლოებას, ამ შემთხვევაში კანონმდებლობა სრულად და ამომწურავად არეგულირებს ინფორმაციის დასაიდუმლოებისა და განსაიდუმლოების წესებს, გადაწყვეტილების მიღების პროცედურებს, უფლებამოსილ პირთა წრეს⁵⁷, ასევე ინფორმაციის დასაიდუმლოებისა თუ განსაიდუმლოების შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებას (საქართველოს კანონი „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“, თავი 3

⁵⁷ „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის №507 დადგენილების დანართი №4: „იმ უფლებამოსილი პირების წუსხა, რომლებსაც აქვთ კონკრეტული ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებისათვის მიკუთვნების კომპეტენცია“.

– სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დასაიდუმლოება და თავი 4 – სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის განსაიდუმლოება).

კიდევ ერთი ტიპის ინფორმაცია, რომელიც შეიძლება აღქმულ იქნეს დახურულად, არის ე.წ. შიდაუნებრივი დოკუმენტაცია. სზაკის 99-ე მუხლი ადგენს ადმინისტრაციული წარმოების მასალის გაცნობის უფლებას. ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, გარდა იმ მასალებისა, რომლებიც წარმოადგენს უშუალოდ ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის მომზადებასთან დაკავშირებულ, შიდაუნებრივი ხასიათის დოკუმენტაციას.⁵⁸

ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმასთან დაკავშირებით, ორჰუსის კონვენციაზე უფრო მკაცრი მოთხოვნებია. უარი განმცხადებელს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში განმცხადებელს მიაწოდოს წერილობითი განმარტება, სადაც მითითებული იქნება ის დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაციები უარის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. აქვე განმარტებული უნდა იყოს ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება და წესი (მუხლი 41).

საქართველოს კანონმდებლობა ორჰუსის კონვენციის გათვალისწინებით, ადგენს, რომ არ შეიძლება დაწესდეს რაიმე გადასახადი ან შეიქმნას სხვა დაბრკოლება დოკუმენტის ან სხვა მასალის ასლის მისაღებად, ასლის გადაღებისათვის, აგრეთვე ფოსტის მეშვეობით გაგზავნისათვის, საჭირო თანხის ანაზღაურების გარდა. საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ საქართველოს კანონის (2005) თანახმად, განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ასლის საფასურის რაოდენობა და გადახდის წესი.⁵⁹

⁵⁸ „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის მოთხოვნებისა და საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი, ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“, 2014, გვ.19.

⁵⁹ ორჰუსის კონვენციის განხორციელების V ეროვნული ანგარიში IV/4 (ECE/MP.PP/2011/2/ASS.1) გადაწყვეტილების შესაბამისად. გვ. 16-18.

საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ ერთ-ერთი ძირითადი სამართლებრივი წყაროა, რომელიც შეეხება გარემოს დაცვას და გარემოსდაცვით საკითხებს. კანონის რეგულირების სფეროს წარმოადგენს სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის გარემოს დაცვის და ბუნებათსარგებლობის სფეროში. აღსანიშნავია, რომ 2016 წლამდე ეროვნული კანონმდებლობა არ განმარტავდა კონკრეტულად გარემოსდაცვით ინფორმაციას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლის „ა“ პუნქტი ადგენს გარემოს შესახებ ინფორმაციის გასაიდუმლოების დაუშვებლობას, თუმცა, იგი სრულად ვერ პასუხობდა გარემოსდაცვით ინფორმაციის კონვენციისეულ უფრო ფართო განმარტებას, რომლის მიხედვითაც ჩანს, რომ გარდა გარემოს შესახებ ინფორმაციისა, გარემოსდაცვითი ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას იმ ფაქტორების, საქმიანობების ან ღონისძიებების შესახებ, რომლებიც მოქმედებენ ან შესაძლოა იმოქმედონ გარემოზე, აგრეთვე ინფორმაციას გარემოს ზემოქმედების შესახებ ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე.⁶⁰

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2016 წლის 13 აპრილს საქართველოს პარლამენტმა ორჰუსის კონვენციის მოთხოვნებთან ჰარმონიზაციის მიზნით მხარი დაუჭირა „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანას, რომლის მიხედვითაც, მკაფიოდ კონვენციისეული განმარტების გათვალისწინებით ფართოდ განიმარტა ტერმინი „გარემოსდაცვითი ინფორმაცია“. კერძოდ, ამავე კანონის მე-4 მუხლს დაემატა „დ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც განიმარტა, რომ გარემოსდაცვითი ინფორმაცია, ეს არის წერილობითი, ვიზუალური, ელექტრონული, ზეპირი ან ნებისმიერი მატერიალური ფორმით წარმოდგენილი ყველა სახის ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე:

ა) გარემოს შემადგენელი ელემენტების მდგომარეობა როგორებიცაა: ჰაერი, ატმოსფერო, წყალი, ნიადაგი, მიწა, ლანდშაფტი,

⁶⁰ „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადამწვდომების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის მოთხოვნებისა და საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი, ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“, 2014, გვ. 10.

ბუნებრივი ობიექტები, მათ შორის, ჭაობი, სანაპირო ზოლი და საზღვაო ტერიტორია, ბიომრავალფეროვნება და მისი კომპონენტები, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმების ჩათვლით და ამ ელემენტების ურთიერთქმედება;

- ბ) ფაქტორები, როგორებიცაა ენერჯია, ხმაური, რადიაცია, აგრეთვე ნარჩენები, მათ შორის, რადიოაქტიური ნარჩენები, ქიმიური ნივთიერებები, ემისიები და სხვა სახის დაბინძურება, რომლებიც გავლენას ახდენს ან სავარაუდოდ, მოახდენს ამ მუხლის „დ² ა“ ქვეპუნქტში აღნიშნულ გარემოს შემადგენელ ელემენტებზე;
- გ) ღონისძიებები (ადმინისტრაციული ღონისძიებების ჩათვლით), როგორებიცაა პოლიტიკა, კანონმდებლობა, გეგმები, პროგრამები, გარემოსდაცვითი შეთანხმებები და საქმიანობები, რომლებიც გავლენას ახდენს ან სავარაუდოდ, მოახდენს ამ მუხლის „დ² ა“ და „დ² ბ“ ქვეპუნქტებში აღნიშნულ გარემოს შემადგენელ ელემენტებსა და ფაქტორებზე, ასევე იმ ღონისძიებებსა და საქმიანობებზე, რომლებიც განკუთვნილია ამ ელემენტების დასაცავად;
- დ) ანგარიშები გარემოსდაცვითი კანონმდებლობის განხორციელების შესახებ;
- ე) ხარჯთსარგებლიანობა და სხვა ეკონომიკური ანალიზები და დაშვებები, რომლებიც გამოიყენება ამ მუხლის „დ² გ“ ქვეპუნქტში აღნიშნული ღონისძიებებისა და საქმიანობების ფარგლებში;
- ვ) ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა და უსაფრთხოება, მათ შორის, კვებითი ჯაჭვის დაბინძურება, ადამიანის ცხოვრების პირობები, კულტურული ობიექტების და მათთან დაკავშირებული შენობა-ნაგებობების მდგომარეობა, იმდენად, რამდენადაც მათზე გავლენას ახდენს ან, სავარაუდოდ, მოახდენს ამ მუხლის „დ² ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული გარემოს შემადგენელი ელემენტების მდგომარეობა ან ამ მუხლის „დ² ბ“ და „დ² გ“ ქვეპუნქტებში მითითებული ფაქტორები, ღონისძიებები და საქმიანობები ამ ელემენტების მეშვეობით.

მოცემული კანონის მე-6 მუხლი დანვრილებით ჩამოთვლის მოქალაქის უფლებებს გარემოს დაცვის სფეროში, რომლის მიხედვითაც მოქალაქეს სხვა უფლებებს შორის: (გ) მიიღოს სრული, ობიექტური და

დროული ინფორმაცია თავისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ. მოცემული დანაწესის მიხედვით ცალსახაა თუ როგორ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კანონი გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას საზოგადოებისათვის.⁶¹ აგრეთვე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა გარანტირებულია არაერთი ეროვნული საკანონმდებლო აქტით.⁶² აქვე, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გარანტიებზე საუბრისას, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ ისიც, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 153-ე მუხლის თანახმად, სიტყვის თავისუფლების ანდა ინფორმაციის მიღების ან გავრცელების უფლების განხორციელებისთვის უკანონოდ ხელის შეშლა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ანდა ჩადენილია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დასჯადია სისხლის სამართლის წესით. თუმცა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის სექტორის ცნობით, ამ მუხლით დაკვალიფიცირებული ჯერჯერობით, არცერთი საქმე არ ფიქსირდება საერთო სასამართლოებში.⁶³

მიუხედავად იმისა, რომ გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გარანტიები უზრუნველყოფილია ეროვნული საკანონმდებლო ბაზის ფარგლებშიც საკმაოდ მაღალ დონეზე. სამწუხაროდ, საკანონმდებლო დებულებების პრაქტიკაში განხორციელება გარკვეულ სირთულეებს უკავშირდება. საქართველოში პრობლემურია

⁶¹ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო 4 ნელინადში ერთხელ ამტკიცებს გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნულ მოხსენებას. მოხსენების შედგენის წესს ადგენს საქართველოს მთავრობა, რომლის მიხედვითაც, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უფლება აქვთ მიიღონ სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ, უშუალოდ მიიღონ მონაწილეობა გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების განხილვის პროცესში, მოაწიონ გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების საჯარო განხილვა და თავისი წინადადებები და შენიშვნები გაუზიარონ შესაბამის ორგანოებს. იხილეთ, გარემოს მდგომარეობის შესახებ სამინისტროს 2014-2017 წლების ეროვნული მოხსენება: <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/17010>

⁶² საქართველოს ტყის კოდექსის 35-ე მუხლი; სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი; ცხოველთა სამყაროს შესახებ საქართველოს კანონის მე-14 მუხლი; ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 51-ე მუხლი; ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონის 49-ე მუხლი; საქართველოს წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი; ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ საქართველოს კანონის 26-ე მუხლი.

⁶³ დამატებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლი ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უკანონო უარის თქმისას.

როგორც ინფორმაციაზე პროცედურული ხელმისაწვდომობა, ისე ინფორმაციის ხარისხი და ინფორმაციის უბრალოდ არარსებობა.⁶⁴ „ორჰუსის კონვენციის განხორციელება საქართველოში“ ალტერნატიული ანგარიშის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოები თითქმის არასდროს იყენებენ ე.წ. ზიანის ტესტს, რომელიც გულისხმობს მოთხოვნილი ინფორმაციისა და ინფორმაციის გაცემით გამონვეული ზიანის შედარებას, ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა ცალსახად განსაზღვრავს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვის გამონაკლის საფუძვლებს, ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადანყვეტილებებში საჯარო დაწესებულებები როგორც წესი, იშვიათად ახდენენ არტიკულირებას ე.წ. საზოგადოებრივი ინტერესის ტესტზე.⁶⁵

ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ გარემოსდაცვითი ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე ერთ-ერთ ძირითადი ადრესატს წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. სამინისტროს მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის⁶⁶ შესაბამისად წარმოდგენილი 2018 წლის ანგარიშის⁶⁷ მიხედვით ირკვევა, რომ საანგარიშო პერიოდში, სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით მიმართა 210-მა განმცხადებელმა, აქედან სრულად დაკმაყოფილდა 198 განცხადება, პასუხი ნაწილობრივ გაიცა 5 განმცხადებელზე, ხოლო დასაბუთებული უარი მიიღო 1-მა განმცხადებელმა, 6 განცხადებაზე კი წარმოება მიმდინარეობდა.

რაც შეეხება ზოგადად, საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით სასამართლოსადმი მიმართვიანობას, სტატისტიკის მიხედვით⁶⁸ ირკვევა, რომ საერთო სასამართლოებში 2018 წელს განხილულია 50 საქმე, ხოლო მიმდინარე საანგარიშო პერიოდში შესულია 37

⁶⁴ ორჰუსის კონვენციის განხორციელება საქართველოში (ალტერნატიული ანგარიში), ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“, 2014, გვ. 16. იხ.: http://greenalt.org/wp-content/uploads/2014/04/Aarhus_Convention_alternative_report_GEO_2014_FINAL.pdf

⁶⁵ იქვე, გვ. 19.

⁶⁶ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მიხედვით, საჯარო დაწესებულება ვალდებულია ყოველი წლის 10 დეკემბერს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგინოს ანგარიში საჯარო დაწესებულებაში შესული საჯარო ინფორმაციების შესახებ.

⁶⁷ იხ.: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4390596?publication=0>

⁶⁸ იხ.: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2018-weli-wigni-administraciuli.pdf> გვ. 29

სარჩელი. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ უმეტესად სარჩელები ეხება საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების საკითხებს, კონკრეტულად, გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით მიმართვიანობა და სასამართლო პრაქტიკა მწირია. აღნიშნული კი გარკვეულწილად, შესაძლებელია დაკავშირებული იყოს იმ ფაქტით, რომ სასამართლო არ მიიღებს სარჩელს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, თუ მოსარჩელემ არ გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა.⁶⁹ შესაბამისად, გარემოსდაცვითი ინფორმაციის მიღებით დაინტერესებულ პირს სჭირდება მიმართოს ადმინისტრაციული საჩივრით პირველ რიგში, შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელსაც საჩივრის განხილვის ერთოვანი ვადა აქვს (კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ეს ვადა შეიძლება გაიზარდოს არაუმეტეს, ერთი თვით), ამასთან, გარდა ვადებისა, სასამართლოში მიმართვისას მოსარჩელე არ თავისუფლდება ბაჟის გადახდის ვალდებულებისგან.

სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით იკვეთება, რომ უმრავლეს შემთხვევაში გარემოსდაცვითი ინფორმაციის გაცემა შეზღუდულია კომერციული კონფიდენციალურობის საფუძველით. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში⁷⁰ მოსარჩელე ითხოვდა მოპასუხე მხარეს მისთვის გადაეცა ერთ-ერთი კომპანიის საინფორმაციო გეოლოგიური ანგარიშის ასლი. მოსარჩელე მხარემ მითითებულ წერილში აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია იქნებოდა საიდუმლოების შემცველი, მოითხოვა იმ დოკუმენტების მინოდება, რომელიც არ შეიცავდა საიდუმლო ინფორმაციას და ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის დამადასტურებელი გადანყვევტილება. მოპასუხემ მიანოდა მოთხოვნილი ინფორმაციის მხოლოდ ერთი ნაწილი, მეორე ნაწილზე უარი უთხრა და მოსარჩელეს განემარტა, რომ ეს იყო „წილის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლით გათვალისწინებული კატეგორიისათვის მიკუთვნებული ინფორმაცია, ამიტომ იგი წარმოადგენდა იმ პირის საკუთრებას, რომლის სახსრებითაც იქნა ეს ინფორმაცია მოპოვებული.

მოცემულ საქმეში თბილისის საქალაქო სასამართლომ საკითხის შე-

⁶⁹ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.5 მუხლი.

⁷⁰ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 18 ივლისის გადანყვევტილება საქმეზე №3/234-14

ფასებისას გაითვალისწინა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა და აღნიშნა შემდეგი:

სასამართლო მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის №2/1/524 გადაწყვეტლებაზე (საქმის დასახელება: საქართველოს მოქალაქე გიორგი გაჩეჩილაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ), სადაც სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლების მე-3 და მე-4 პუნქტების შინაარსის, დანიშნულებისა და სულისკვეთების გათვალისწინებით უდავოა, რომ

„კონსტიტუცია ესწრაფვის ჯანსაღ გარემოზე უფლების მაღალი სტანდარტის ჩამოყალიბებასა და მას ადამიანის ძირითად უფლებად განიხილავს ეკოლოგიური უფლების კონსტიტუციურსამართლებრივ სივრცეში მოქცევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფოს ანგარიშვალდებულების, გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, საზოგადოებრივი მონაწილეობისა და სხვა გარემოსდაცვითი მექანიზმების გამართული, ეფექტური მუშაობისა და კოორდინაციისათვის. ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლების დადგენით, საქართველოს კონსტიტუცია ადასტურებს და განამტკიცებს კონსტიტუციურ ღირებულებათა წესრიგში მდგრადი ეკოლოგიური განვითარების განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტი, რომელიც წარმოადგენს პირის მიერ ინფორმაციის მიღების უფლებას სპეციალურ შემთხვევას (ყველას აქვს უფლება, დროულად მიიღოს სრული და ობიექტური ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ). იგი წარმოშობს სახელმწიფოს ვალდებულებას, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მიაწოდოს გარემოს მდგომარეობის შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაცია. ამასთანავე, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის დადგენის გარდა, 37-ე მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას, მუდმივად აწარმოოს გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, რათა საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილ იქნეს ასეთი ინფორმაციის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობა. ნათელია, რომ ეს ორი ვალდებულება ერთმანეთთან ორგანულად არის დაკავშირებული, რადგან ამ ტიპის ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა ადამიანის უფლებების ეფექტური რეალიზება. „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებუ-

ლი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენციით“ აღიარებულია, რომ ყოველ ადამიანს აქვს მისი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესაბამის გარემოში სიცოცხლის უფლება, აგრეთვე ყოველ მოქალაქეს გააჩნია მოვალეობა როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად დაიცვას და გააუმჯობესოს გარემო ახლანდელი და მომავალი თაობების საკეთილდღეოდ. ამავ კონვენციით მიიჩნევა, რომ ამ უფლებების დასაცავად და მოვალეობების შესასრულებლად, მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს გარემოსდაცვითი ინფორმაცია და მათ უნდა ჰქონდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის მიღების უფლება. ასევე აღიარებულია, რომ ცალკეულ მოქალაქეებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და კერძო სექტორს შეუძლიათ შეასრულონ მნიშვნელოვანი როლი გარემოს დაცვის სფეროში“.

სასამართლომ სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და ადმინისტრაციულ ორგანოს მკაფიო მითითება მისცა ხელახლა გამოეკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

„დაევალოს მოპასუხეს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, იმსჯელოს ააიპ „მ. ა.“-ს მიერ წარგდენილ ადმინისტრაციულ საჩივარზე, კერძოდ სპეციალისტებისა და დაინტერესებული პირების მონაწილეობით გამოიკვლიოს ლიცენზიის მფლობელის მიერ წარდგენილი ანგარიში (ის ნაწილი, რომლის გაცემაზეც მოსარჩელეს ეთქვა უარი) შეიცავს თუ არა გარემოს შესახებ ინფორმაციას; ასევე გამოიკვლიოს მიეწოდა თუ არა ააიპ „მ. ა.“-ს წინა წლების ანგარიში სრულყოფილი სახით, დადებით შემთხვევაში, დაასაბუთოს ამ ეტაპზე ინფორმაციის გაუცემლობის მიზეზი. ასევე შემოაღნიშნული ნორმათა ანალიზის შედეგად შეაფასოს აჭარბებს თუ არა მოსარჩელის ინტერესი – მიიღოს მოთხოვნილი ანგარიშის ასლი (სრულყოფილი სახით), წიაღით სარგებლობის ლიცენზიის მფლობელთა ინტერესს – არ გაიცეს მოთხოვნილ ანგარიშში მითითებული მონაცემები მათი თანხმობის გარეშე“.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებადან ნათლად ჩანს, რომ სასამართლომ საკითხის შეფასებისას, მხედველობაში მიიღო ე.წ. ზიანის ტესტი და დაავალა ადმინისტრაციულ ორგანოს უფრო სიღრმისეულად

შეესწავლა და დაეცვა სამართლიანი ბალანსი მოსარჩელისა და მოპასუხის ინტერესებს შორის.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის⁷¹ (რომლის საფუძველზეც ზემოთ მითითებულ საქმეში, მოპასუხე მხარემ არ გასცა ინფორმაცია) კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით ნამსჯელი აქვს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსაც.

კონსტიტუციური სარჩელის მიხედვით, მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლი არღვევს გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გაცნობის უფლებას, რადგან შეზღუდულია გასაჩივრებულ ნორმაში მითითებული ინფორმაციის მიღება მესაკუთრის თანხმობის გარეშე. კონსტიტუციურ სარჩელში აღნიშნულია, რომ „გარემოსდაცვითი საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის მე-2 მუხლის მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, გარემოსდაცვითი ინფორმაცია გულისხმობს წერილობითი, აუდიოვიზუალური, ელექტრონული ან ნებისმიერი სხვა მატერიალური ფორმით მიწოდებული ყველა ინფორმაციას ისეთ საკითხებზე, როგორცაა: ჰაერი და ატმოსფერო, წყალი, ნიადაგი, მიწა, ლანდშაფტი და ბუნებრივი ობიექტები, ბიოლოგიური მრავალფეროვნება და მისი კომპონენტები, გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმები და ამ ელემენტების ურთიერთქმედება. აღნიშნული დანაწესიდან გამომდინარე, ინფორმაცია წიაღისა და წიაღისეულის შესახებ მიეკუთვნება გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას. მოსარჩელის თქმით, „გარემოს შესახებ“ საქართველოს კანონითა და ორ-

⁷¹ საქართველოს წიაღის შესახებ კანონის 29-ე მუხლის (საკუთრება წიაღის შესახებ ინფორმაციაზე) მიხედვით: ინფორმაცია წიაღის გეოლოგიური აგებულების, წიაღისეულის მარაგებისა და რესურსების, საბადოს დამუშავების სამთო-ტექნიკური პირობებისა და სხვა თვისებების ან პარამეტრების შესახებ, წარმოადგენს იმ სუბიექტის საკუთრებას, რომლის სახსრებითაც არის მოპოვებული ეს ინფორმაცია. შეიძლება წიაღისა და წიაღისეულის შესახებ გეოლოგიური ან სხვა სახის ინფორმაციის გაყიდვა ან შესყიდვა. საქართველოს კანონმდებლობა იცავს საკუთრების უფლებას წიაღისა და წიაღისეულის შესახებ გეოლოგიურ ან სხვა ინფორმაციაზე. დაუშვებელია სახელმწიფო საინფორმაციო ფონდებში შეტანილი ინფორმაციის გაცემა სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირზე, ინფორმაციის მესაკუთრის თანხმობის გარეშე.

პუსის კონვენციის განმარტება გარემოს შესახებ ინფორმაციის თაობაზე, მოიცავს წიაღის შესახებ ინფორმაციასაც.

მოსარჩელის აზრით, გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია არ განეკუთვნება კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას, ამიტომ იგი ხელმისაწვდომი უნდა იყოს შეზღუდვის გარეშე. მოსარჩელის თქმით, სადავო ნორმა ავტომატურად ახდენს ყველა ტიპის ინფორმაციის დახურვას, მიუხედავად იმისა, იგი მიჩნეული არის თუ არა კომერციულ ინფორმაციად. მოსარჩელის პოზიციით, ინფორმაცია, რომელიც არის კომერციული ხასიათის, უნდა გამოცალკევდეს გარემოსდაცვითი ინფორმაციის ერთობლიობიდან.⁷²

შესაბამისად, მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ ამგვარ ინფორმაციაზე საზოგადოების ხელმისაწვდომობის შეზღუდვა არღვევდა გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღებისა (საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტი) და სახელმწიფო დასწესებულებებში დაცული ოფიციალური დოკუმენტების გაცნობის (საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტი) კონსტიტუციურ უფლებას.

მოპასუხე მხარის არგუმენტაციით, სადავო ნორმაში მითითებული წიაღის პარამეტრების შესახებ ინფორმაცია მოპოვებულია კერძო პირების მიერ და მას აქვს ეკონომიკური ღირებულება. ამგვარი ინფორმაციის საჯარო ხელმისაწვდომობა კი, მას დაუკარგავდა ღირებულებას და დააზიანებდა მისი მოპოვებელი პირის ინტერესებს.

საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტი ავალდებულებს სახელმწიფოს, შეაგროვოს და დაინტერესებულ პირებს მიაწოდოს სრული ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ. ამავე დროს, სახელმწიფო უფლებამოსილია, თვითონ შეარჩიოს აღნიშნული ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების ფორმა. სადავო ნორმა მიუხედავად იმისა, რომ კერძო პირებს უკრძალავს გარკვეულ დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობას, არ გამორიცხავს ან ამცირებს სახელმწიფოს ვალდებულებას, თვითონ მოახდინოს გარემოს მდგომარე-

⁷² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის პლენუმის საოქმო ჩანაწერი (საქმე №3/1-1/752)

ობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და საზოგადოებისათვის მიწოდება. სახელმწიფო, არ არის შეზღუდული ამ მიზნებისათვის გამოიყენოს მათ შორის სახელმწიფო ფონდებში არსებული ინფორმაცია. შესაბამისად, არ იზღუდება პირის უფლება გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე.

სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ წიაღის გეოლოგიური პარამეტრების შესახებ ინფორმაცია ძირითადად, წიაღის მოსაპოვებლად გამოიყენება და მას ეკონომიკური ღირებულება გააჩნია. მისი გასაჯაროვება კი უცილობლად გამოიწვევდა ინფორმაციის მნიშვნელოვნად გაუფასურებას. ასეთ შემთხვევაში დაზარალებოდა ინფორმაციის მესაკუთრე და შემცირდებოდა ამ დარგის კვლევისადმი არსებული კომერციული ინტერესი, რაც საბოლოოდ შეაფერხებდა წიაღით სარგებლობის სფეროს განვითარებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ გამართლებულად მიიჩნია საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცული სახელმწიფო დაწესებულებებში არსებული ოფიციალური დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა.⁷³

ორპუსის კონვენციის (მე-4 მუხლი) მიხედვით, ინფორმაციის ნაწილი, რომელიც არ ექვემდებარება გამოქვეყნებას, უნდა გამოიყოს, ხოლო დანარჩენი ინფორმაცია კი მიენოდოს მომთხოვნ მხარეს. სასამართლო პრაქტიკიდან ჩანს, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც თუ მოპასუხე მხარე თვლის, რომ მოთხოვნილი ინფორმაციის ნაწილი საიდუმლოა კონკრეტული საფუძვლით, მაშინ იგი არ ახდენს საიდუმლო ინფორმაციის ნაწილის გამოცალკავებას და უარს ეუბნება განმცხადებელს ინფორმაციის გაცემაზე. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში⁷⁴ მოსარჩელეს უარი ეთქვა ინფორმაციის მიწოდებაზე იმ საფუძვლით, რომ აქტის გამოცემისათვის ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების ამსახველი დოკუმენტაცია წარმოადგენდა კომერციულ საიდუმლოებას.

⁷³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბერის გადაწყვეტილება საქმეზე №3/1/752
 იხ.: <https://www.constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/3-1-752-aaip-mwvane-alternativa-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg2.page>

⁷⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №3/6055-17

ამ საქმეში სასამართლომ ვრცლად განმარტა, თუ რა მიიჩნევა კომერციულ საიდუმლოებად:

კომერციულ საიდუმლოებად ჩაითვლება ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც კომერციული ღირებულება აქვს, ანუ ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელი უნდა იყოს მოგების მიღება საწარმოს ან ფიზიკური პირის მიერ. ეს ინფორმაცია შეიძლება იყოს გეგმის, პროცესის, ფორმულის სახის და ეხებოდეს საქონლის წარმოებას, გადამუშავებას, მომზადებას ან მომსახურების გაწევას. ეს ინფორმაცია შეიძლება წარმოადგენდეს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს. კომერციული საიდუმლოებაა აგრეთვე, ნებისმიერი ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიიყენოს პირის კონკურენტუნარიანობას ბაზარზე. ზოგჯერ კანონი პირდაპირ ითვალისწინებს, რომ ინფორმაცია პირის კომერციული საიდუმლოებაა (მაგალითად ინფორმაცია გადახდილი გადასახადების შესახებ), ასეთ შემთხვევაში საჯარო დაწესებულება, რომელიც ინფორმაციას მიიღებს, ვალდებულია ავტომატურად ცნოს იგი კომერციულ საიდუმლოებად. სხვა შემთხვევაში ინფორმაცია კომერციულ საიდუმლოებად ჩაითვლება მხოლოდ პირის მოთხოვნის საფუძველზე. როდესაც პირი გადასცემს ინფორმაციას საჯარო დაწესებულებას, მან იქვე უნდა მიუთითოს – სურს თუ არა ამ ინფორმაციის შინაარსის კონფიდენციალობის უზრუნველყოფა. ინფორმაციის მიღებიდან ათი დღის განმავლობაში საჯარო დაწესებულება აცხადებს ამ ინფორმაციას კომერციულ საიდუმლოებად და იღებს გადაწყვეტილებას ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის შესახებ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ადმინისტრაციული ორგანოს საკუთარი კომერციული საიდუმლოება არ გააჩნია.

სასამართლო განმარტავს, რომ ხელშეკრულება კერძო სამართალში მიიჩნევა შეთანხმებად ორ ან რამდენიმე იურიდიულ იურიდიულ ან ფიზიკურ პირს შორის, რომელიც წარმოშობს, ცვლის ან წყვეტს კერძო სამართლებრივ უფლებებსა და მოვალეობებს, რომელიც გამომდინარეობს თვით დადებული ხელშეკრულებიდან და ასევე იმ სამართლებრივი ნორმებიდან, რომელიც მოქმედებს იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც დაიდო ხელშეკრულება. ხელშეკრულებაში ცვლილების საფუძველი შეიძლება იყოს მხარეთა შეთანხმება, ასევე სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილი იქნება ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა არ წარმოადგენს ახალი ხელშეკრულებას.

ბის დადების საფუძველს, პირიქით, ცვლილება ხდება თავდაპირველი ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილში და იზიარებს მის ბედს. ამდენად, სასამართლო ეთანხმება მოპასუხე მხარის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ თუ ხელშეკრულება და მისი შინაარსი წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას, მასში განხორციელებული ცვლილება იზიარებს მის ბედს, ხდება კომერციული საიდუმლოების ობიექტი და არ არის საჭირო მისი კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის სათვის დამოუკიდებლად პროცედურების დაცვა“.

დამატებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ:

„შესაძლოა ადმინისტრაციული წარმოების შედეგად მიღებული საბოლოო პროდუქტი – ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი, ან ადმინისტრაციული ხელშეკრულება, ჩაითვალოს კომერციულ საიდუმლოებად, თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს, რომ წარმოების სრული მასალა ამ გრაფის მატარებელია, თუკი აღნიშნული დოკუმენტაცია შეიცავს კომერციულ ფასეულობას ან აგრეთვე სხვა ინფორმაციას, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას“.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოპასუხე მხარეს მოსარჩელესათვის უნდა მიენოდებინა ადმინისტრაციული წარმოების ის ნაწილი, რომელიც არ შეიცავდა კომერციულ საიდუმლოებას.

„სასამართლო განმარტავს, რომ იმ პირობებში, როდესაც საქმე წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება, რომ მოსარჩელის ზემოაღნიშნული განცხადებებით მოთხოვნილი ინფორმაცია სრული მოცულობით კომერციული საიდუმლოების შემცველია ან კანონით დადგენილი წესით სრულყოფილადაა ცნობილი კომერციულ საიდუმლოებად, მოპასუხე ვალდებულია მთავრობის ორივე განკარგულებასთან დაკავშირებით გამოყოს ადმინისტრაციული წარმოების ის ნაწილი, რომელიც არ შეიცავს კომერციულ საიდუმლოებას და გადასცეს იგი მოსარჩელეს“.

მოცემულ საქმეში სასამართლომ ვრცლად იმსჯელა ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის საკითხზე, ამასთან მიიჩნია, რომ მოსარჩელეს უსაფუძვლოდ ეთქვა უარი ინფორმაციის იმ ნაწილის გაცემაზე, რომელიც არ მიეკუთვნებოდა კომერციულ საიდუმლოებას. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო გადანყვეტილ-

ბა შეიცავს შესაბამის დასაბუთებას, სამწუხაროდ, ორჭუსის კონვენციაზე მითითება არ გვხვდება და გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხი განხილულია მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობის ქრილში.

ასევე, საინტერესოა მოკლედ მიმოვიხილოთ სასამართლო პრაქტიკაში განხილული ერთ-ერთი საქმე⁷⁵, რომელშიც თბილისის საქალაქო სასამართლომ მართებულად მოიხმო ორჭუსის კონვენცია და საკითხის შეფასებისას მხედველობაში მიიღო და არტიკულირება მოახდინა ინტერესთა შეპირისპირების აუცილებლობაზე.

„სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში დაგეგმილი სამშენებლო საქმიანობის განხორციელება უშუალოდ ეხება გარემოს, ხოლო ადამიანის ჯანმრთელობის უსაფრთხო და უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლება კი საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული და გარანტირებული ყველა ადამიანის სიცოცხლის უფლებაა. ამასთან, საქართველო, როგორც ორჭუსის კონვენციის წევრი სახელმწიფო, ვალდებულია ამავე კონვენციის დებულებების შესაბამისად უზრუნველყოს საზოგადოებისათვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის და მასთან დაკავშირებულ მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი მონაწილეობის უფლება. ამდენად, სასამართლო მიიჩნევს, რომ შოთა ბუჩუკურს, როგორც დაინტერესებულ პირს უფლება ჰქონდა დაინტერესებულიყო იმ პროექტით რაც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო და უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლებებთან. განსახილველ შემთხვევაში ირკვევა, რომ ერთმანეთს უპირისპირდება ერთი მხრივ, შპს „ე-ს“ ინტერესი ინფორმაციის საიდუმლოდ დაცვის შესახებ და მეორე მხრივ, მოსარჩელის ინტერესი ჯანსაღ და უსაფრთხო გარემოში ცხოვრებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თაობაზე. ორივე შემთხვევაში კანონმდებლობა ითვალისწინებს პირთა საქმიანობის შეზღუდვის შესაძლებლობას, რაც უნდა მოხდეს ინტერესთა შეფასების/შეპირისპირების საფუძველზე. ამასთან, მართალია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა წარმოადგენს პირის უფლებას, თუმცა მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს აღნიშნულ უფლებაში ჩარევის შემთხვევებს/შესაძლებლობას სახელმწიფოს მხრიდან, რო-

⁷⁵ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №3/6055-17.

დესაც ინფორმაცია შეიცავს კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას ან დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან სამართალწარმოების ინტერესების დასაცავად კანონით ან კანონით დადგენილი წესით აღიარებული სახელმწიფო საიდუმლოებად. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით სასამართლო კიდევ ერთხელ მიუთითებს „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, რომელიც განსაზღვრავს იმ ძირითად პრინციპებს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს შესაბამისმა სამსახურმა მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების დადგენისას. ერთ-ერთ ასეთ პრინციპს წარმოადგენს სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოება. სასამართლო განმარტავს, რომ სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის პრინციპი წარმოადგენს იმ სოციალურ უფლებას, რომელიც გარანტირებულია კონსტიტუციით. აღნიშნული პრინციპის კონსტიტუციური ხასიათი განაპირობებს მშენებლობის/ქალაქგეგმარებითი დასკვნის გაცემაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას, შექმნას ყველა პირობა იმისათვის, რომ არცერთი ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას არ შეექმნას საფრთხე. აღნიშნული პრინციპის დაცვის უზრუნველყოფა კი ადმინისტრაციული ორგანოს აქტიურობაზე, კერძოდ, გარკვეული ვალდებულებების შესრულებაზეა დამოკიდებული.

სასამართლო მიიჩნევს, რომ [ორჰუსის] კონვენცია აწესრიგებს გარემოს დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოების მოტივით დაცვის აუცილებლობას, თუმცა იქვე მიუთითებს, ასეთი კონფიდენციალურობა დადგენილი უნდა იყოს კანონით. განსახილველ შემთხვევაში სახეზეა მოთხოვნა განმცხადებლის მფლობელობაში არსებული ღირებული ინფორმაციის (პროექტთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მასალის) კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის თაობაზე. ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილი ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის საკითხი რეგულირებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27² მუხლით. აღნიშნული ნორმა ადგენს ზოგად წესს, რომ ინფორმაცია შეიძლება მიჩნეული იქნეს კომერციულ საიდუმლოებად თუ მისი ღიაობა სავალდებულო არ არის კანონით. წინამდებარე დავის ფარგლებში, თუნდაც დავის საგანს

არ წარმოადგენდა ის გარემოება, დოკუმენტი მართლაც შეიცავს თუ არა მფლობელისათვის კომერციული ღირებულების ინფორმაციას, ამგვარი დოკუმენტის, როგორც სამშენებლო სანებართვო დოკუმენტაციის შემადგენელი ნაწილის, საჯაროობის აუცილებლობას ადგენს მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება, შესაბამისად კომერციულ საიდუმლოებად ცნობილი საპროექტო დოკუმენტაცია ნებისმიერ შემთხვევაში წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას, მიუხედავად კანონით განსაზღვრული ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობის სამართლებრივი საფუძვლების არსებობისა“.

მოცემულ საქმეში სასამართლომ გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხი განიხილა ორჰუსის კონვენციისა და ეროვნული კანონმდებლობის ქრილში და დაადგინა, რომ მოპასუხე მხარის მიერ განცხადების განხილვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება ჩატარებულ იქნა არასრულყოფილად, საკითხის გადაწყვეტისათვის საჭირო მოქმედებების განხორციელების გარეშე, არ შეფასებულა განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოებების, რის გამოც, სასამართლომ დაავალა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევა და შეფასება.

აღსანიშნავია, რომ ორჰუსის კონვენცია „თვითშესრულებადი“ ხასიათისაა⁷⁶, რაც ნიშნავს, რომ მისი გამოყენება ეროვნულ კანონმდებლობაში ინკორპორირების გარეშეც, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართალი – შესაძლებელია, თუმცა, სასამართლო პრაქტიკიდან ირკვევა, რომ ეროვნულ სასამართლო გადაწყვეტილებებში ნაკლებად გვხვდება ორჰუსის კონვენციის შესაბამისი დებულებების მოხმობა და გაანალიზება კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების ქრილში. ამასთან, ნაშრომის ფარგლებში ყურადღება დაეთმო ეროვნულ სასამართლო გადაწყვეტილებებში შეგვესწავლა თუ რამდენად ხდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს რელევანტური პრეცედენტული სამართლის მოშველიება, მისი გაანალიზება და საქმის კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებთან მათი მისადაგება. საქმეთა შესწავლამ აჩ-

⁷⁶ ბითაძე მ., საქართველოში ორჰუსის კონვენციის განხორციელების საკანონმდებლო და ინსტიტუციური მიმოხილვა. კვლევა და რეკომენდაციები, თბილისი, 2007, გვ.6

ვენა, რომ გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკითხებზე, როგორც წესი, არ ხდება ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მოხმობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გარემოსდაცვით საკითხებზე სამართალწარმოების გაუმჯობესების მიზნით რეკომენდებულია:

- დაიგეგმოს და განხორციელდეს სატრენინგო აქტივობები⁷⁷ მოსამართლეებისა და თანაშემწეებისათვის, ასევე სასამართლოებში მომუშავე ანალიტიკური სამსახურის თანამშრომლებისათვის, გარემოსდაცვით სფეროში საერთაშორისო სტანდარტების თაობაზე;⁷⁸
- მიზანშეწონილია სასამართლოებმა გარემოსდაცვითი ინფორმაციის შესახებ საქმეთა განხილვისას, აქტიურად მოიხმონ ორჭუსის კონვენციის შესაბამისი დებულებები, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რელევანტური პრეცედენტული სამართალი. ამასთან, მოახდინონ ციტირებული მასალის კონკრეტული საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან მისადაგება და ანალიზი.⁷⁹

დაბოლოს, სახელმწიფოს განვითარება, ეკონომიკური და ტექნოლოგიური პროგრესი ხშირ შემთხვევაში, თავისთავად იწვევს გარემოზე მავნე ზემოქმედების ზრდას. ეკონომიკური განვითარების ხელშე-

⁷⁷ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის 2017 და 2018 წლის ანგარიშებიდან ირკვევა, რომ მოსამართლეთა და სასამართლოს სხვა მოხელეთა გადამზადების პროგრამით გათვალისწინებულ ტრენინგთა თემატიკებს შორის კონკრეტულად გარემოსდაცვითი სამართალი და გარემოსდაცვითი საერთაშორისო სტანდარტები არ ფიგურირებს. იხ.: <https://www.hsoj.ge/geo/reports/statistics>

⁷⁸ ტრენინგების საჭიროებაზე მიუთითა ევროპის ეკონომიკურმა კომისიამ მონტენეგროში 2017 წლის 11-13 სექტემბერს ორჭუსის კონვენციის ხელშემკვერელ მხარეებთან გამართულ შეხვედრაზე. იხ.: http://www.unece.org/fileadmin/DAM/env/pp/mop6/Decison_Excerpts_EN/Aarhus-Conv_MoP6_Decision_VI_3_AJ_e.pdf

⁷⁹ მაგალითად, ორჭუსის კონვენციის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული კითხვარი, რომელიც ეგზავნება კონვენციის ხელშემკვერელ მხარეებს, არის საკმაოდ დეტალური და ეხება წევრი ქვეყნების მიერ კონვენციის ეროვნულ დონეზე იმპლემენტაციის საკითხებს, მათ შორის, ამ სფეროში ეროვნული სასამართლო პრაქტიკის წარმოჩენას. იხ.: http://www.unece.org/fileadmin/DAM/env/pp/a.to/j/TF11-2018/TFAJ_Info_Questionnaire_final.pdf

ყოფა სახელმწიფო ხელისუფლების უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს, შესაბამისად, სახელმწიფოს ხშირად უწევს ეკონომიკური და ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინება და დაბალანსება. ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად ეკოლოგიის დაცვა შესაძლებელია ხშირად მოვიდეს კოლიზიაში სამეწარმეო თავისუფლების რეგულირების სფეროსთან. იმის გარკვევა, სახელმწიფოს, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მიზნით, რა მოცულობით შეუძლია დაუშვას გარემოზე ზემოქმედება, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების ძირითადი უფლების პრაქტიკული რეალიზების ერთ-ერთ ურთულეს სამართლებრივ პრობლემას წარმოადგენს, რომელზეც ზოგადი და უნივერსალური მიდგომის ჩამოყალიბება შეუძლებელია. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ინტერესთა ურთიერთშეპირისპირების გზით უნდა გაირკვეს, ამა თუ იმ ფორმით გარემოზე ზემოქმედება წარმოადგენს თუ არა ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლების დარღვევას.⁸⁰

⁸⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე №2/1/524

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
ტელ.: (995 32) 299 82 08
www.supremecourt.ge